შაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 5 № 186

წელიწადი მეოთხე

შაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 5 № 186

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

ქ. დამასკში ინგლისელები შევიდნენ.—დასავლეთის ფრონტზე ფრანგ-ინგლისელების ჯარმა ქ. სენ-კანტენი აიღო.—დასავლეთის ფრონტზე ინგლის-ფრანგების წინსვლა გრძელდება.—ქ. სოფიასთან გერმანელ-ავსტრიელები აჯანყებულ ბულგარელებს ებრძვიან.—გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა ძალით აიძულოს ბულგარეთი შესწყვიტოს საზავო მოლაპარაკება.—ბულგარეთში სდგება ახალი კაბინეტი, რომელშიაც ზომიერი და სოციალისტები შედიან.—ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ ომის დროს დაპატიმრებულთა ამნისტია გამოაცხადა.—ალბანიაში ავსტრიელები უკან იხევენ.—ოსმალეთმა აღიარა ჩრდილო-კავკასიის ხალხთა კავშირის დამოუკიდებლობა.—ქ. ეკატერინოდარიდან თბილისში დაბრუნდნენ ევ. გეგეჭკორი და გენ. მაზნიაშვილი.—თბილისის ქალაქის გამგეობა მთელი თავისი შემადგენლობით თანამდებობიდან გადადგა.

ღრმად დამწუხრებულნი შვილები ანდრია, სოლიკო და ვარა; მულები ანნა, ბარბარე, ბიძაშვილები დიმიტრი, სანდრო, სვიმონი კოტეტიშვილები გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ხან მოკლე ავადმყოფობის გამო გარდაცვალებულ საყვარელ დედა

**დარო გათიაშვილისა**

გამოსვენება მოხდება დღეს დილის 9 ნახ. საათზე ბაიაზეთის ქ. № 9. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—1)

**თბ. ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ ყველა პირველდაწყებით, უმაღლეს სასწავლებლებში, სახოსტატო და პროფესიონალურ საქალებო სასწავლებლებში სწავლა დაიწყო 20 ენკენისთვიდან. ოთხ რუსულ პირველდაწყებით სკოლასთან: I ვერისა, ვერის საქალებო, ლადინისა და რიყის სკოლებთან გაიხსნა 4 განყოფილება.

სწავლება ყველა პირველდაწყებით სასწავლებლებში საქალებო პროფესიონალურ და საოსტატო სასწავლებლებში უფასოა. (2—1)

**თბილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ ქალაქის პირველ-დაწყებით სასწავლებელში: ქართულში, სომხურში, თითრულში (მუსულმანური) და ოსურში საჭიროა ხატვის მასწავლებლები (ქალები თუ კაცები). იმ პირთ, ვისაც ჰსურს ხსენებულ თანამდებობათა მიღება უნდა ჰქონდეთ სპეციალური მომზადება ხატვაში და სამშობლო ენა უნდა იცოდნენ.

თხოვნები საჭირო დოკუმენტების კოპიებით მიიღება თფ. ქალაქის გამგეობასთან არსებულ სახალხო განათლების განყოფილებაში 20 ოქტომბრამდე. (2—1)

საზაფხულო შენობა | **ქართული კლუბი** | საზაფხულო შენობა

პარასკევს, შაბათს და ორშაბათს 4, 5 და 7 ღვინობისთვე

საქველმოქმედო მიზნით გაიმართება ს ა ღ ა მ ო

**ლოტოს თამაშით**

მომგები, ფულის მაგივრათ მიიღებს 1-ლ ქართულ ლატარიის ბილეთებს.

2—2 დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

**საზოგადოების საყურადღებოდ.**

**რესტორანი „კაფე-პარიზი"**

ზამთრის ცალკე კაბინეტებით, მოწყობილი პირველ ხარისხოვან რესტორანების სტილით. ყოველდღე სადილის და ვახშმის დროს უკრავს რუმინული ორკესტრი.

საუზმე: დილის 10 საათიდან 2 საათამდე.

სადილი: 2—5 საათამდე.

ვახშამი: a la car ie.

მზადდება როგორც ევროპიული აგრეთვე აზიური საჭმელები განსაკუთრებით ერბოზე გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით. მიუხედავად სიძვირისა ფასები ხელმისაწდომია.

(25—2) პატივისცემით ხ. გიგიბერია.

**ხელის მომწერთა საყურადღებოდ.**

„საქართველოს" კონტორა მოაგონებს თბილისსა და პროვინციის ხელის მომწერთ, რომ ვისაც გაზეთის ხვედრი ფული არ გადაუხდია უნდა შემოიტანონ 10 ღვინობისთვემდე წინაალმდეგ, შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ. 5—4

**კონსერვატორიის დარბაზი**

(გრიბოედოვის ქუჩა)

დღეს 5 ოქტომბერს გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის

**პოეზიის საღამო**

ბილეთები იყიდება წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში.

## ფინანსიური პოლიტიკისთვის

ჩვენი ხაზინა დიდი განსაცდელის წინაშე სდგას. მანქანა ვერ ასწრებს ბონების ბეჭდვას, დაბეჭდილი ფულის რაოდენობა სახელმწიფო გასავალს ვერ ასდის. უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელი რჩება.

ყველაზე სახიფათო და დამაფიქრებელი ის არის, რომ ჩვენი პატარა ჯარისთვისაც კი აღარ გვაჩნია საჭირო თანხა. უკანასკნელ დროს ქართველ ხალხში სულიერი გარდატეხა ხდება. გლეხობა ერკვევა ანარქიული ბურანიდან, ეჩვევა იმ აზრს, რომ სახელმწიფო უმაღლესი ზნეობრივი რიგია, რომლის წინაშე ყოველმა მოქალაქემ ერთგვარი ვალდებულება უნდა მოიხადოს. ალაგ-ალაგ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ახალგაზრდობა ხალისით მიდის ყაზარმაში. ჯარში ჩნდება იდეური კადრი, რომელიც წინანდებურად აღარ ეწინააღმდეგება შრომასა და დისციპლინას. ავტორიტეტული წყაროების ცნობით ასეთია მაგალითად გურულების პოლკი, რომელსაც პოლკოვნიკი ტ. ართმელაძე ხელმძღვანელობს.

მაგრამ იდეა როდი კმარა ჯარის შესადგენად. ქართველს ჯარის კაცს საჭმელი არ აქვს, ფეხზე არ აცვია. აფიცრებს მცირედი ჯამაგირი აქვს, მაგრამ ხშირად იმასაც ვერ იღებს წესიერად. ასეთ პირობებში რა უნდა გააწყოს იდეურმა მხედრობამ?

დრო კი აღარ იცდის. მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდება, შეიძლება ხვალ ან ზეგ ანგარიშები საბოლოოდ გასწორდეს. საერთაშორისო ოჯახის თვითეულ წევრს მიეგება არა განყენებული სურვილებისა, არამედ ფაქტიური მდგომარეობისა და რეალური ძალის მიხედვით. ფაქტიური მდგომარეობა კი დიდათ საზარალოა ჩვენთვის. ჩვენი უმნიშვნელოვანესი კარიბჭეები, ბათომი, ახალციხე, ზაქათალა და ტუაფსე უცხოელების ჯარს უჭირავს. ყოველ წუთში მოსალოდნელია, რომ მტერი შიგ შუაგულ საქართველოში შემოიჭრას. მაგრამ თუნდაც ეს არ მოხდეს, რა მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს სიტყვას, თუ იქ ასე გაძარცული და ზღუდეშემორღვეული წარსდგა?

ძველი ჭეშმარიტებაა, რომ რეგულიარული ჯარისთვის სამი საგანია საჭირო: ფული, ფული და კიდევ ფული. საქართველოში კი არასოდეს არ ყოფილა ამდენი ფული, რამდენიც დღეს არის. თუ ენერგიულს ფისკალურ პოლიტიკას ვაწარმოებთ, თუ ფინანსიურს მობილიზაციას მოვახდენთ, დაცალიერებული ხაზინა ადვილად შეივსება და დაავადებული სახელმწიფოებრივი სხეული მოღონიერდება.

გავიხსენოთ ზოგიერთი დამახასიათებელი ფაქტი. წინათ, როცა ჩვენი ქვეყანა რუსეთის პროვინცია იყო, პეტროგრადის ექსპედიცია თბილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებას ყოველწლიურად დაახლოებით ათ მილიონ მანეთს უგზავნიდა და ეს თანხა მთელს კავკასიას ჰყოფნიდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკის გამოცხადებიდან დღემდე ე. ი. შვიდი თვის განმავლობაში თბილისის ექსპედიციამ დაბეჭდა დაახლოებით ნახევარი მილიარდი მანეთის ბონი და ამ თანხის ორი მესამედი მაინც საქართველოს საზღვრებში დარჩა. ამას გარდა ჩვენში დიდძალი ძველი რუსული ფულიც ტრიალებს.

ალებმიცემობის ინტენსივობა ჩვენს სამშობლოში ბოლო დროს აგრე რიგად არ გაძლიერებულა, ქაღალდის ფულის სიმრავლე უეჭველად ავადმყოფურ მოვლენას წარმოადგენს. ცხოვრების გაძვირება, სანოვაგის გაქრობა, სპეკულაციის ციებ-ცხელება, ზნეობრივი ნორმების მოშლა უწინარეს ყოვლისა ამ მოვლენით აიხსნება. არა მარტო ფინანსიური, არამედ ღრმა სოციალური და ზნეობრივი მოსაზრებების გამო არის საჭირო ქაღალდის ფულის მობილიზაცია და ხაზინაში დაგროვება.

ორი გზით შეიძლება ასეთი მობილიზაციის მოხდენა. ჩქარა ორი წელიწადი იქნება, რაც რევოლუცია დაიწყო, ამ ხნის განმავლობაში ხალხი გადაეჩვია სახელმწიფო გადასახადის გამოღებას. მთავრობამ ხალხს უნდა მოაგონოს ეს ვალდებულება. ადგილობრივი ადმინისტრატიული აპარატის შესაქმნელად პარლამენტმა მილიონები გადასდო. ამ ადმინისტრაციის უპირველესი დანიშნულება ძველი გადასახადების აკრეფაა. ეს არ კმარა, რასაკვირველია. გადასახადების სისტემის რადიკალურად შეცვლა ნაჩქარევად არ შეიძლება, მაგრამ შედარებით ადვილია თვით დაბეგვრის ტეხნიკის გაუმჯობესება. ზოგიერთი ძველი პირდაპირი გადასახადის ტარიფი შეიძლება უმტკივნეულოდ ერთი ათად და ერთი ოცად გადიდდეს, რადგან ერთი ათად და ერთი ოცად დაეცა ფულის კურსი. შეიძლება შემოღებულ იქმნას ზოგიერთი არაპირდაპირი გადასახადი მასიურ მოსახმარ საგანზე. თამბაქოს აქციზის ახალი კანონი, რომელიც პარლამენტმა კიდეც მიიღო, პირველი ნაბიჯია ამ მხრივ.

არის კიდევ მეორე გზა, რომელიც არა ნაკლებ მნიშვნელოვან შედეგებს გვიქადის. ესაა ჩამორთმეულ მამულების გამოცხადება ეროვნულ ფონდათ და ამ ფონდის თანდათანობითი განაწილება. მიწის რეფორმას უწინარეს ყოვლისა ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ სახელმწიფოს უფლება აქვს რეფორმის გატარების დროს თავის ფინანსიურ ინტერესებს ანგარიში გაუწიოს. საქმე იმაშია, რომ მიწის რენტა და მასთან ერთად მამულის ღირებულება უკანასკნელ წელს დიდათ გაიზარდა საქართველოში. ეს მნიშვნელოვანი ეკონომიური მოვლენა სხვათა შორის გამოიწვია პოლიტიკურმა აქტმა, სახელდობ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ. ამ აქტის წყალობით რუსის იაფფასიანი პურის კონკურენცია განელდა და ქართველი მეურნესთვის ხელსაყრელი გახდა უფრო მდარე მიწების დამუშავება. ცხადია, რომ მიწის რენტის ზრდით უნდა ისარგებლოს არა მარტო კერძო პირებმა, არამედ თვით სახელმწიფოებმაც; 26 მაისის აქტი რომ არ მომხდარიყო, მამულის ფასი ასე როდი აიწევდა საქართველოში.

ოც აგვისტომდე ჩამორთმეულ მამულების რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში დაახლოვებით 98 ათას დესეტინას უდრიდა, ხოლო დასავლეთში 41 ათასს. შემდეგ კონფისკაცია უფრო ჩქარის ტემპით სწარმოებს. ბ-ნ მიწადმოქმედების მინისტრის ვარაუდით შეიძლება ჩამორთმეული მიწის ფონდი თითქმის შვიდასი-ათას დესეტინამდე ავიდეს. მისივე აზრით დესეტინა საშუალოდ ათასიდან ათას ხუთას მანეთამდე ღირს. ამ ციფრებიდან სჩანს, რა გრანდიოზული ფინანსიური მნიშვნელობა აქვს ამ ოპერაციას. რასაკვირველია, მთელი ფონდის განაწილება არც შესაძლებელია და არც სასურველი. მეორე მხრივ ძნელია „აუქციონის" გამოცხადება და მაქსიმალური ფასების აღება. მაგრამ თუნდაც სახელმწიფომ ეროვნული ფონდის ნახევარი სანახევრო ფასებში გაანაწილოს, ის ადვილად მიიღებს სამას თუ ოთხას მილიონს მანეთს, რაიცა დაუფასებელ სამსახურს გაგვიწევს დღევანდელ პირობებში. საბეჭდავი მანქანის დასვენება შეაჩერებს ფულის კურსის დაცემას. ზედმეტი ქაღალდის ფულის ამოწურვა გააჯანსაღებს ფულისა და საქონლის ბაზარს, თუ ბაზარში დღეს სანოვაგე ასე ცოტაა, ეს სხვათა შორის, იმითაც აიხსნება, რომ სოფლის მეურნის ჯიბე და სკივრი ქაღალდის ფულითაა გატენილი და რადგან გადასახადსაც არ იხდის, აღარ არსებობს ფაქტორი, რომელიც მას ზედმეტი სურსათის გაყიდვას აიძულებდეს. ასეთს პირობებში ძალდატანებითი რეკვიზიცია საქმეს არას უშველის, მხოლოდ გააღიზიანებს გლეხობას. პურს ბაზარში გლეხი ეკონომიური აუცილებლობის კარნახით უფრო ადვილად გამოიტანს, ვიდრე მფრინავი რაზმის ბრძანებით.

რასაკვირველია, მიწის რეფორმა, ერთგვარი ძალდატანებაა ყოფილი მემამულეების წინააღმდეგ. მაგრამ სახელმწიფო ყოველთვის იძულებაზეა დაყრდნობილი. პოლიტიკური მოღვაწეები მხოლოდ იმას უნდა სცდილობდნენ, რომ სახელმწიფოს მუდმივი და ზოგადი ინტერესი არ შეეწიროს კერძო და შემთხვევითს ინტერესს. თუ სახელმწიფომ მემამულეების წინააღმდეგ ულმობელობა გამოიჩინა, ეს მარტო ბოგანო გლეხობის გულისთვის როდი უნდა მოხდეს. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ყოვლად მიუღებელია გაზეთ „ერთობის" პროექტი, რომ ჩამორთმეული მიწები ღარიბ გლეხობას უფასოდ დაურიგდეს და მხოლოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურება მოეთხოვოს. რა მნიშვნელობა ექნება ნახევრად გაპროლეტარებული გლეხისთვის რამდენიმე დღიური მიწის მიღებას? სულ ერთია სახელმწიფოსგან ინვენტარსა და კაპიტალს ვერ მიიღებს, უამისოდ ბოლოს მაინც იძულებული გახდება თავისი ნაჭერი შეძლებულ მეზობელს მიჰყიდოს. ამგვარად მიწის რეფორმა დიდათ შეაფერხებს ბუნებრივ განვითარებას.

საქართველო ქვანახშირისა, ლითონისა და ჩქარმავალი მდინარეების ქვეყანაა. დიდი ინდუსტრიისთვის საუცხოვო ობიექტური პირობები არსებობს, მაგრამ არა გვყავს უმიწაწყლო მუშა ხალხი, რომლის წესიერი ორგანიზაცია და ამუშავება შეეძლოს სამრეწველო კაპიტალს. თუ სოფლიდან ასეთი ხალხი არ გამოვიდა, ჩვენი სამშობლო დიდს ხანს სიმინდის ყანებისა და ლიმონათის ქარხნების ქვეყანად დარჩება.

გერონტი ქიქოძე.

## გერმანულ-კავკასიური ბანკი

(დოქტორ ვესტერნჰაგენის წერილის გამო).

პატივცემული დოქტორის აზრით, სანამ ეს გერმანულ-ამიერკავკასიის ბანკი გაიხსნებოდეს, ყველა ადგილებში დღეიდანვე უნდა მოეწყოს სადეპოზიტო კასსები. ჩვენი კანონმდებლობა, სრულებით არ იცნობს ასეთს კასსებს. ესეც რომ არ იყოს, კერძო საკრედიტო დაწესებულებებს სადეპოზიტო კასების გახსნის უფლება საზოგადოთ არ მიენიჭება. მხოლოდ სახელმწიფო ხაზინასა და აგრეთვე იმ კერძო ბანკებს, რომელთაც ემისიის უფლება აქვთ მინიჭებული შეიძლება ასეთი უფლების მიკუთვნება.

რასაკვირველია კერძო ბანკების პატრონთათვის ფრიად ხელსაყრელია, რომ მათ განუსაზღვრელი საშუალება ჰქონდეთ შესანახად ფულის მიღებისა, მაგრამ სახელმწიფო იძულებულია ეს განსაზღვრულს პირობებში ჩააყენოს, რომ მით უზრუნველჰყოს ფულის შემნახველთა ინტერესები.

მით უფრო მიუღებელია ბ. დოქტორის სურვილი, რომ ასეთი სადეპოზიტო კასსები თვით ბანკის გახსნამდე დაარსდეს. წარმოვიდგინოთ, რომ ამ კერძო ბანკს სადეპოზიტო კასების გახსნის უფლება მიენიჭება, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ამ კასსებში, რომელნიც ბ. დოქტორის აზრით „ყველა ადგილებში უნდა გაიხსნას", დიდძალი ფული მოიყრის თავს შესანახად. ამ შემთხვევაში ამ შენახულ თანხების პასუხისმგებლობა ათი მილიონიანი თანხით მაინც იქნება გამაგრებული. სულ სხვა იქნებოდა, ეს სადეპოზიტო კასსები რომ ბანკის გახსნამდე დაარსებულიყო. სადეპოზიტო კასსებში რომ რამოდენიმე ათეულ მილიონ მანეთს მოეყარა თავი ბანკის საბოლოოდ გახსნამდე მას ერთი მანეთის პასუხისმგებლობა არ ექმნებოდა; რასაკვირველია, სახელმწიფო ვერ დასთანხმდება, რომ ხალხის ქონება ასეთს მდგომარეობაში ჩავარდეს.

მეტად თავისებურია აგრეთვე პატივცემული დოქტორის განცხადება, რომ ეს სადეპოზიტო კასები გერმანულ დელეგაციის მიერ იქნება დაცული. ასეთს განზრახვებს უთუოდ არ მოეპოება რეალური საფუძველი და მხოლოდ ჩვენი ცხოვრების პირობების გაუცნობლობას უნდა ემყარებოდეს. ჩვენს ქვეყანაში მოიპოება მრავალი სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებანი—სახელმწიფო თუ კერძო, უცხოელთა თუ ჩვენი, მაგრამ ისინი სრულებით არ საჭიროებენ რაიმე განსაკუთრებულს დაცვას, ვინაიდან დაცულ არიან საქართველოს მთავრობის მიერ. მეორე ადგილას ბ. დოქტორი გერმანელ ფაბრიკანტების შიშს გამოსთქვამდა—საქონლის ფასს ვინ გადუხდის მათ უცხო ქვეყანაში, სადაც დღემდის რევოლუცია არის გამეფებულიო. უფრო სწორი იქნებოდა, რომ გვეთქვა—სადაც რევოლუციის სწრაფი ლიკვიდაცია ხდებაო. მაგრამ ასეც რომ არ იყოს და საქართველოში რევოლუცია გაგრძელდეს, ის მაინც დამოუკიდებელი სახელმწიფოა თვით გერმანიის შეწეობითა და დახმარებით აღდგენილი და როდესაც გერმანიის ოფიციალურ წრეებთან ურთიერთობაში ეს მისი დამოუკიდებლობა სავსებით არის დაცული, რასაკვირველია საქართველოს სუვერენობას არავინ შელახავს გერმანულ-კავკასიურ ბანკის ინიციატორთა სურვილით. გერმანულ-კავკასიური, თუ ქართულ-გერმანული ბანკები რამდენიც არ უნდა დაარსდეს საქართველოში, ყველანი უნდა ექვემდებარებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და სათანადო უწყებას.

მაგრამ თუ შეუძლებელია ამ ბანკის განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვა, შესაძლოა თუ არა მისი ამ ჟამად გახსნა ჩვეულებრივის წესით? მეტად საშიშია ამ ჟამად ახალი ბანკის დაარსება იმ ბანკებისათვის, რომელნიც დღემდე ხელფეხ შებორკილი არიან სახელმწიფოსაგან. ყველა ჩვენი საკრე-

დიტო დაწესებულებები უდიდეს კრიზისს განიცდიან და სანამ სახელმწიფო მათ არ აღუდგენს ჩვეულებრივს, ნორმალურ პირობებს მუშაობისათვის, ის ვალდებულია დაიცვას ეს საკრედიტო დაწესებულებანი ისეთს მეტოქეთაგან, რომელიც თავიდანვე თავისუფალი იქნება იმ დაბრკოლებებისაგან, რომელსაც ეს ბანკები დღემდე განიცდიან. სახელმწიფო იძულებული იყო სესხად აეღო ყველა ის კაპიტალები, რომელნიც მათ მოეპოვებოდათ საწარმოვოთ და მით მოუსპო მათ აქტიური ოპერაციების წარმოების საშუალება. ამ გარემოებამ დაუკარგა ჩვენს ბანკებს საზოგადოების ნდობა და მათი საქმე ფრიად შეფერხებული დარჩება, სანამ ეს ნდობა მათ არ დაუბრუნდებათ. მთავრობა უკვე დებულობს ამ მხრივ ზოგიერთს ზომებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე აღდგინდება ამ ბანკების ნორმალური ვითარება. სანამ ეს არ მოხდება, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მათი ინტერესები თვით მის მიერ დარღვეული და არ ჩააყენოს სრულიად განსაკუთრებულ პირობებში რომელიმე სხვა ბანკი, რომელსაც ასეთი კრიზისი არ უნახავს.

ამასთანავე სულ მოკლე ხანში მოსალოდნელია საქართველოს სახელმწიფო ბანკის გახსნა გერმანიის დახმარებით და შემწეობით. სანამ ეს არ მოხდება და სანამ ეს სახელმწიფო ბანკი არ დაიჭერს თავის ადგილს ჩვენს საკრედიტო დაწესებულებათა შორის, განსაკუთრებულს პრივილეგიებით აღჭურვილ კერძო ბანკის დაარსება სახელმწიფოს ფინანსიური თვალსაზრისით სასარგებლოდ არ უნდა ჩაითვალოს.

რასაკვირველია ყოველივე თქმული დღევანდელს მდგომარეობას შეეფერება, თორემ ნორმალური ფინანსიური ურთიერთობის აღდგენის შემდგომ ასეთი ბანკების გამრავლება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების არსებობისა და გაძლიერების მაჩვენებელი იქნება.

მაგრამ შესაძლოა, ბ-ნი დოქტორი გვკითხავს, როგორ დავაკმაყოფილოთ საქართველოსა და გერმანიის ეხლანდელი სავაჭრო ურთიერთობის საჭიროებანი? საჭიროა თუ არა ბანკი, რომელიც შუამდგომლობას გასწევს საქართველოსა და გერმანიის შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის დროს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღევანდელს მდგომარეობაში ასეთს დანიშნულებას უკეთ შეასრულებს ადგილობრივი სახელმწიფო ბანკი, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნისთვის შეუძლიან განსაკუთრებული კასსა გახსნას. როგორც გერმანულ ეკონომიურ კომისიას აქ ჩვენს ბანკში, აგრეთვე ჩვენს კომისიას ბერლინში თავისი სპეციალური ანგარიში ექნებათ იმ ოპერაციებისათვის, რომელსაც ისინი აწარმოებენ. დრო გამოშვებით მოხდება ამ ანგარიშების გასწორება.

არსებითად ბ-ნ ვესტერნჰაგენის განზრახვა ფრიად საპატიოა და სასარგებლო. ჩვენი ქვეყანა მტკიცე ეკონომიური ურთიერთობით უნდა შეეკრას გერმანიას და ეს შესაძლოა მხოლოდ მრავალი საკრედიტო და სხვა სავაჭრო ორგანიზაციების შემწეობით. მაგრამ ამ მიზნების სიდიადე და მნიშვნელობა გვავალებს, რომ აჩქარებული ნაბიჯები არ გადავდგათ.

ა. ახათიანი.

# ქართველთა ჯარი და ქართული ენა

მთელ ხალხში საზღაპროდ იყო გავრცელებული იმ ტანჯვის ამბები, რომელსაც ქართველი ჯარის კაცი განიცდიდა რუსის ჯარში სამსახურის დროს უცხო ენის უცოდინარობის გამო. მე თვითონ არა ერთხელ მსმენია რუს აფიცრებისაგან, ეს და ეს ქართველი შესანიშნავი ჯარის კაცია, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი ენა არ ესმის და ამით მეტად ბრკოლდებაო.

ჩვენ გვეგონა, თავისუფლება მოგვანიჭებდა სამშობლო ენის სრულ უფლებიანობას. მაგრამ დღემდის სულ წინააღმდეგს ვხედავთ. მთელ სამხედრო უწყებაში საქმის წარმოება რუსულად არის და ბევრ ადგილას რუსიფიკაციის გაძლიერებასაც კი ვხედავთ. მაგალითად, ჯარის საინჟინერო ნაწილის შტაბში თერთმეტ კაციდან მხოლოდ სამმა იცის ქართული. ახლად ჩამოსულ სოფლელებს მთელი ქვეყნის თვალწინ რუსულად წვრთნიან. ასე იქმნება ქართველთა ჯარი. რასაკვირველია აქ ერთად ერთი მიზეზი ამ მოვლენისა ის არის, რომ თვით ერის ნაწილს აფიცრობისას არ სურს სამშობლოს ემსახუროს წესიერად, მე უფრო მეტს ვიტყვი, ბევრთაგან ეს ერთნაირი ცინიზმია, ერთნაირი თავის აგდებაა, თორემ სხვანაირად ვერ წარმომიდგენია რა მიზეზი უნდა იყოს განსაკუთრებით; საყურადღებოა ამ მხრივ აქაური ჯარის და ქართველთა ლეგიონის შედარება. ოსმალეთში, საოცრად მძიმე პირობებში ხუთიოდე გადახვეწილმა ქართველმა შესძლეს შეექმნათ ქართული ჯარი, სადაც არამც თუ კამანდა, მთელი საქმის წარმოება, თვით სამართალიც ქართულად სწარმოებდა. მე კარგად ვიცი ქართველ აფიცერთა შორის ბევრია სამშობლოსათვის თავდადებული, ბევრს ღრმად ესმის თავისი მძიმე მოვალეობა, მაგრამ ალბად სამხედრო მთავრობის სისუსტის გამო მეტი გავლენა აქვთ თავაშვებულ უპასუხისმგებლო პირთ, რომელთა წინააღმდეგ არავითარ ზომას არავინ იღებს. დროა ბოლო მოეღოს ამ დაცინვას ქართველი ერისა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ზ.ზ. ქართველ აფიცრებს ისიც ვერ მოუხერხებიათ ახალ, მოსულ ჯარის კაცებს ნაბიჯი ქართულად ათვლევინონ და შუა ბაზარში „რას—დვა" არ აძახებინონ.

აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და ყურადღებას მივაქცევ ერთს გარემოებას. ჯარისკაცი ჩვენი მომავალია. მისი ჯანმრთელობის დაცვა, მისი ყოველმხრივი მოვლა ერთი უწმინდესი მოვალეობაა, როგორც მთავრობის, ისე მთელი საზოგადოების. სამწუხაროდ, აქაც მეტად ვკოჭლობთ. ჯარში გამოწვეული ახალგაზრდები განსაკუთრებით განიცდიან დიდ წვალებას გზაში, ვიდრე თავის დანიშნულებამდე მიაღწევდენ. ყოფილა შემთხვევა, როცა გზად მიმავალ ახალგაზრდებს ბინა ვერ უპოვიათ, შეუყრიათ ნესტიან ოთახში და აგურზე გაუტარებიათ ღამე. შედეგად ის მივიღეთ, რომ მრავალი მათგანი ფილტვების ანთებით ავად გახდენ და ამგვარად სამუდამოდ დასნეულდნენ.

სამხედრო სამინისტრო ვერ შესძლებს ყველა თავისი რთული მოვალეობა შეასრულოს, თუ მას სხვა დაწესებულებანიც და მთელი ხალხი დახმარებას არ გაუწევს. და თუ ყოველი ქართველი ისეთი მშობლური სიყვარულით და მზრუნველობით მოეპყრობა თავის თავისუფლების უძლიერეს იმედს, ქართველთა ჯარს, მაშინ ჩვენი საქმე უზრუნველყოფილი იქნება, თვით აფიცრობაში და ჯარშიაც მოვალეობის შეგნება იმატებს და საქვეყნო საქმეც გაკეთდება.

პ. სურგულაძე.

# მთავრობის წრეებში

სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა ყოველი კასის ერთიანობის დარღვევა მიჩნეულ იყოს საპასუხისმგებლო მოქმედებად.

—

სამეგრელოში მომქმედ რაზმის უფროსის გედევანიშვილისაგან მოსული ცნობის შესახებ (დამნაშავეთა გასამართლება), მთავრობამ დაადგინა: დაევალოს იუსტიციის მინისტრს სათანადო განკარგულება მოახდინოს, რომ საქმის დასაჩქარებლად დამნაშავეთა საქმეები ცალკე ირჩეოდნენ და არა ერთად.

—

სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებით გაუქმებულ დაწესებულებათა მოხელეთათვის საჭირო მოწმობის მიცემის შესახებ, მთავრობამ დაადგინა: საკრედიტო მოწმობების შემუშავება მიენდოს იუსტიციის მინისტრს შრომის მინისტრთან შეთანხმებით.

—

სამხედრო მინისტრის ამხანაგის მოხსენებით, სამხედრო და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლებს დაევალა, ჯარის კაცებზე და სახალხო გვარდიის ნაწილებზე სოფლის მცხოვრებთა საჩივრები გამოიძიონ.

—

მიწად-მოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა, მუშტაიდის ბაღი გადავიდეს ქალაქ თბილისის ხელში იმ დრომდე, სანამ ამას საქართველოს მთავრობა საჭიროდ დაინახავს.

—

მიწათ-მოქმედების მინისტრის კანონპროექტი 61,5000 მანეთის გაღებისა, მინერალურ წყლების სახელმწიფოს განკარგულებაში გადასვლის შესახებ, მოწონებულ იქნა და კანონპროექტი გადაეცა განსახილველად ეროვნულ საბჭოს.

—

სათესი ადგილების შემცირების წინააღმდეგ საშუალების მონახვის შესახებ მიღებულ იქნა მოხსენებაში აღნიშნული ზომები იმ განმარტებით, რომ როცა შემოღებულ იქნება ერობა, ამ საქმის მოგვარებაც უკანასკნელს დაევალოს.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენება, შაქარზე ერთდროულ გადასახადის შემოღების შესახებ, მოწონებულ იქნა და გადაეცა განსახილველად ეროვნულ საბჭოს.

**მთავრობამ დაადგინა:** გაეხსნას ფინანსთა მინისტრს 20,050 მან. კრედიტი ათ მილიონიან ფონდიდან საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიმდინარე წლის ხარჯების დასაფარავად დახმარების სახით.

—

ბანკებსა და ხაზინაში ფულის გადაგზავნისა და შეტანის შესახებ მთავრობამ დაადგინა მიენდოს გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრებს საკონფენციო წესების შემუშავება.

—

მთავრობამ მოიწონა მოხსენება ფინანსთა მინისტრისა გასართობებზე შესასვლელ ბილეთების გადასახადის ხაზინის შემოსავლად ჩარიცხვის შესახებ. თანახმად ამ მოხსენებისა ეროვნულ საბჭოს წარედგინება კანონპროექტი გასართობებზე შესასვლელ ბილეთების გადასახადი, რომელიც არსებობდა ყოფილ იმპერატრიცა მარია თეოდოროვნას უწყების სასარგებლოდ, გადაირიცხოს საქართველოს ხაზინის შემოსავალში.

—

განათლების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ მოიწონა: კანონ-პროექტი, პირველ-დაწყებითი სასწავლებლების გახსნის შესახებ და გადაეცა ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლად.

—

მთავრობამ დაადგინა: დაევალოს ფინანსთა მინისტრს დაუყოვნებლივ დაურიგოს პროვინციის მასწავლებლებს ჯამაგირები.

—

— დაწესდეს მომრიგებელ კამერაში ხაზინის წარმომადგენლობა; წევრებად დაინიშნოს: გიორგი ბახტაძე, ალ. ფარნიევი; მესამე წევრის დანიშვნა მიენდოს მიწათ-მოქმედების მინისტრს.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: წინადადება მიეცეს ჩვენს წარმომადგენელს ადერბეიჯანში ახლავე გაემგზავროს ბაქოში სანათ მასალის გადმოტანის მოსაწყობად; აგრეთვე მიეცეს იოსებ დადიანს ბარათი, რომ მას მინდობილი აქვს სასწრაფოდ მოაწყოს ნავთის გადმოგზავნა.

# ეროვნული საბჭო

## კამათი ალ. ახმეტელის შეკითხვის გამო

(დასასრული)

## პეტრე ქავთარაძის სიტყვა

**მთავრობას უნდა ჩამოსცილდენ ბოროტი ელემენტები**

თუ ჩვენ აქ გამოვდივართ და გვსურს ჩვენი აზრიც გამოვსთქვათ, ვერვინ ვერ დაგვწამებს კონტრ-რევოლუციონერობას და გამცემლობას. ვერც იმას იტყვის ვინმე, რომ მთავრობის დაცემა გვსურდეს.

ჩვენ მზადა ვართ დავეხმაროთ ამ მთავრობას.

ჩვენ გვსურს რომ სწორეთ ეს მთავრობა განმტკიცდეს და გამაგრდეს.

მაგრამ ამისთვის მას უნდა ჩამოსცილდენ ყველა ის ელემენტები, რომელნიც ვით მუმლი მუხასა, გარს შემოხვევიან მას და დამხობას უქადიან!

**ახმეტელის შეკითხვა ფრიად დასაბუთებული იყო**

ახმეტელს აქ დაუწუნეს შეკითხვის დასაბუთება. მე უნდა ვაღიარო, რომ ესეთი დასაბუთებული შეკითხვა, ეროვნულ საბჭოში არ შემოსულა, არც ერთი დებულება მისი არავის არ გაუბათილებია და თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი მთავრობის თავმჯდომარის განცხადებას ,რომ 12 ხელშეკრულებაში, მხოლოდ ერთი აღმოჩნდა სახელმწიფოსთვის არა საზარალო, თქვენ დარწმუნდებით, რომ ესეთი ავტორიტეტული აზრის შემდეგ სრულიად მნიშვნელობა აღარ აქვს ბატონ კიკვაძის აპოლოგიას,

ის ფაქტი, რომ სამინისტროს რევიზია დაინიშნა ამტკიცებს იმას, რომ ამ შეკითხვას აზრი ჰქონია. მას უსაყვედურეს, რომ დაგვიანებულია, რადგან შეკითხვა შემოსულა 17 ავვისტოს, ხოლო სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებას კი 14 იქნა წარდგენილი მთავრობაში.

მე ეს ასე არ მგონია: როდესაც შეკითხვა შემივიდა, მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ეს შეკითხვა, უსათუოდ, საჭირო იყო, თუმც აზრი და მნიშვნელობა მას არც დღეს დაუკარგავს.

**ახმეტელი მინისტრის აზროვნებას არ შეხებია**

როდესაც ახმეტელმა მინისტრს გაბედულება უკიჟინა, მან იწყინა და აღშფოთებულმა პასუხი გასცა, მაგრამ ახმეტელი სრულებით არ შეხებია მის პიროვნებას და უნდა ვაღიაროთ, რომ აქ შეუძლებელია რომ ვინმე მას შეეხოს!

მას აქვს სრული ნდობა როგორც პიროვნებას, მაგრამ სახელმწიფო მოღვაწეობისათვის ეს არ კმარა და სწორეთ ის, რაც საჭიროა სახელმწიფო მოღვაწეობისათვის, ბატონ ლორთქიფანიძეში ჩვენ ვერ დავინახეთ.

**არ შეიძლება რევიზიას აწარმოებდეს კაცი, რომელსაც თვით უნდა დაენიშნოს რევიზია.**

ახმეტელმა სთქვა, რომ არ შეიძლება რევიზიას აწარმოებდეს კაცი, რომელსაც თვით უნდა ჰქონდეს რევიზია დანიშნულიო. ამის გამო ბ-ნმა ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ის პირი, რომელმაც ეს რევიზია უნდა აწარმოეს, თვით მთავრობის თავმჯდომარის მიერ არის დანიშნული და მის პიროვნებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებაო.

მე არა მგონია, ამ განცხადებისათვის მას მადლობა უთხრას თვით მთავრობის თავმჯდომარემ.

ჩვენ გვაქვს უფლება, რომ მოვითხოვოთ ნამდვილი ცნობები.

გაზეთებიდან გავიგეთ, რომ ეს რევიზორი გადაყენებულ იქმნა ავადმყოფობის გამო. ეჭვი არ არის, მთავრობამ არ სთქვა ნამდვილი მიზეზები.

ეხლა კი, ვფიქრობ, რევიზია იწარმოებს წესიერ პირობებში და უთუოდ გავიგებთ საქმის ნამდვილ ვითარებას.

**არიან ფაქტები, რომელთა დამტკიცება ძნელია.**

ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც იცი, რომ მოხდა ესა თუ ის ფაქტი, მაგრამ შეუძლებელია დაამტკიცო დოკუმენტებით.

რა ვქნათ ამ შემთხვევებში? გავჩუმდეთ?

მაგრამ გაჩუმება ძნელია!

ამ დარბაზში ზის საბჭოს ერთი წევრი, რომელმაც ჩემთან ერთად იცის ერთი ესეთი ამბავი ქუთაისის ცხოვრებიდან. იქ არის სამინისტროს რწმუნებული საქონლის საქმეში. მისი მოვალეობაა შეისყიდოს და რეკვიზიცია უყოს საქონელს და რას შვრება იგი? მე და ამ წევრმა ვიცით, რომ ეს კაცი ეუბნება ვაჭრებს, რომ მათ გადამალონ საქონელი, რადგან მოკლე ხანში ფასები უსათუოდ აიწევს.

რითი დავამტკიცოთ ეს ფაქტი! თითონ, რასაკვირველია არ გამოტყდება, და არც ვაჭარი იტყვის, რადგან სპეკულიაციისთვის დაიჭერენ.

**ნარსია: მამა და შვილი.**

როდესაც ბატონი მინისტრი ნარსიას შესახებ ლაპარაკობდა, მე ადგილიდან შევეკითხე: მამა თუ შვილითქო. მას გაუკვირდა ჩემი შეკითხვა და სთქვა, არ ვიციო.

საზოგადოთ მან სამჯერ სთქვა არ ვიციო.

და წინადადება მომცა მე თვით ამეხსნა ეს განცხადება. თანახმად მისი წინადადებისა, მე უნდა ავხსნა, თუ რა განსხვავება აქვს კომერციაში მამას და შვილს.

მამა ცნობილი ვაჭარია, გამოცდილია თავის საქმეში, აქვს ფული და ნდობა. შვილს არც ერთი აქვს, არც მეორე, მაგრამ მამა, რასაკვირველია, პასუხისგებას იღებს თავისი შვილის შესახებ. ხელშეკრულებას სდებენ შვილთან როგორც წინასწარაც უნდა ეფიქრათ, მან თავისი პირობა ვერ შეასრულა, მაგრამ პასუხი აგო მამამ და სწორედ ის დაიჭირეს.

როდესაც ნარსიამ წინადადება შეიტანა სამინისტროში, იქვე ერთი თათარი იყო, რომელიც წინადადებას იძლეოდა, მიეცათ შაქრის გატანის უფლება იმის შემდეგ, როდესაც ის პურს შემოიტანდა. უკეთესი პირობა საქონლის გაცვლის საქმეში, შეუძლებელია. ეს წინადადება უარჰყვეს და ნებართვა მხოლოდ ნარსიამ მიიღო.

**სასურსათო ორგანიზაცია**

როდესაც აქ ბ-ნი მინისტრი პირველად გამოვიდა, მან კრების საკითხის განხილვის გადადება ითხოვა და დაგვპირდა, რომ განსაკუთრებულ მოხსენებას წარმოადგენდა. ჩვენ გვეგონა რომ ის სასურსათო საქმის რეორგანიზაციის პროექტს წარმოადგენდა, საბჭო მას განიხილავდა და თავის აზრს გამოსთქვამდა. როდესაც ის მეორე სხდომაზედ მობრძანდა ჩვენ გავიგეთ, რომ ეს რეორგანიზაცია უკვე მომხდარა, და ახალი ორგანო 2 დღეში საქმესაც სათავეში ჩაუდგება.

თქვენ იცით რა არის ეს ორგანო? მრავალ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან შემდგარი საბჭო, რომელმაც თავის დაარსების პირველ დღესვე მთავრობისადმი ურჩობა იჩინა.

როდესაც ესეთი ორგანიზაცია ეროვნულ საბჭოს დაუდასტურებლად არსდება, ამით ანარქია და არევა შეაქვთ ამ სასურსათო საქმეში, მაგრამ ასეთი წესებით მე მეშინია, რომ ყველა ჩვენი საქმეები არ აირიონ (ტაში ყველა სკამებზედ, გარდა სოც.-დემოკრატებისა).

## ნოე ჟორდანიას პასუხი.

საპასუხო სიტყვით გამოდის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

**ა. ახმეტელის შეკითხვა სრულებით დასაბუთებული არ იყო**

სამწუხაროდ დღეს აქ არ არის ჩვენი სასურსათო სამინისტროს წარმომადგენელი, რომ გასცეს პასუხი ორატორებს. მხოლოდ მე მინდა რამოდენიმე სიტყვა ვსთქვა დღევანდელი კამათის შესახებ. აქ ბ. ქავთარაძემ სთქვა, რომ ახმეტელის შეკითხვა იყო ერთი დასაბუთებული შეკითხვა, იმ შეკითხვებთა შორის, რომელნიც საბჭოში იქმნა შემოტანილიო, ეს დაამოწმა მთავრობის თავმჯდომარემ და მინისტრმა ლორთქიფანიძემო, მაშინ, როცა მე წინა სხდომაზე განვაცხადე, რომ ბ. ახმეტელმა სთქვა ის, რაც ჩვენ ვიცოდით, და ახალი რაც სთქვა სიმართლეს მოკლებული იყო თქო. ამ ახალის დამამტკიცებელი საბუთი მე დღეს აქ არ მომისმენია, რჩება ის, რაც ჩვენ კარგა ხანია ვიცოდით. ბ. ახმეტელს შეეძლო მთავრობის კანცელარიაში შესულიყო, გადაეშალა ქაღალდები და რაც თვითონ სთქვა იმას იქ იპოვიდა.

**პურის შემოტანა შეუძლებელი იყო**

მთავრობა თვითონ აღიარებს და ამბობს, რომ ეს საქმე რთულია, ძნელია, ჩვენ ვსცადეთ ერთი საშუალება, მეორე, მაგრამ ვერცერთი ვერ გამოდგა, საქართველოს თავისი პურით არასოდეს არ უცხოვრია. მას შემოქონდა სხვა პროვინციებიდან. ეს პოლიტიკური მდგომარეობისა გამო შეუძლებელი ხდება. რომ არ ყოფილიყვენ იქ ყაზახები, აქ ოსმალები და სხვა, მაშინ მოხერხდებოდა პურის შემოტანა.

**ხელშეკრულება მაზმანოვის ჯგუფთან**

აქ გამოვიდა ბ. გაბაშვილი და სთქვა, რომ რატომ მიეცით მაზმანოვის ჯგუფს და არა სხვასო. ჩვენ განვიხილეთ ორივეს პირობები და უფრო ხელსაყრელად დავინახეთ მაზმანოვის და მისი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულობა. მე აქ ვსთქვი, რომ ყველა პირობებში არის მხოლოდ ერთი პირობა—მაზმანოვის, რომელიც არ არის საზარალო. მაზმანოვის ჯგუფმა კიდევაც მოახერხა პურის შეძენა, მხოლოდ იქაური მთავრობა არ ანებებს ჯერჯერობით გამოსატანად. თუ ჩვენ პოლიტიკური ხასიათის დაბრკოლებები ვერ დავსძლიეთ, მაშინ ის პურის შემოტანას ვერ მოახერხებს.

**სასურსათო სამინისტროს რევიზორი**

ბ. ქავთარაძემ სთქვა, რომ რევიზიის თავმჯდომარეთ დაინიშნა ისეთი პირი, რომელიც ამ საქმეს ჯეროვნად ვერ წაიყვანდა და ამ საქმისთვის შეუფერებელი კანდიდატი არისო. მე რევიზორად დავნიშნე ალ. ჯაფარიძე, იმას ვიცნობთ როგორც სასტიკ ადამიანს, რომელიც ერთ კაპეიკს არ დაანებებს სხვას და არც თვითონ უნდა სხვისი, კერძო საქმე იქნება ეს თუ საზოგადო. ვიცოდი აგრეთვე ისიც, რომ იმან არ დაინდო თავისი ამხანაგებიც კი და ბოროტმოქმედებისთვის ისინი დაიჭირა. ბ. ქავთარაძეს ის არ მოსწონს და ეხლა წერილიც მოათავსა „ალიონში", მაგრამ არც ამ ტრიბუნიდან, არც იმ თავის წერილში გარკვეულად არაფერი უთქვამს, რომლის მიხედვით შეუძლებელი იქნება ჯაფარიძის დანიშვნა. ის მე თუ გადავაყენე არა იმიტომ, რომ შეუფერებელი კანდიდატი იყო, ავადმყოფობისგამო. თუ ბ. ქავთარაძეს აქვს მის შესახებ საბუთები, მაშინ მოვალეა საბუთები წარმომიდგინოს, ან აქ, და თუ ეს მოუხერხებელია, მაშინ ჩემს კაბინეთში.

**მთავრობის სასურსათო პოლიტიკა**

აქ ბევრს ლაპარაკობენ სასურსათო პოლიტიკაზე. თქვენ იცით, რომ ჩვენში იყო პურის მონოპოლია, ის ცხოვრებაში ძნელი გასატარებელი შეიქმნა, მონოპოლია მოვსპეთ და შემოვიღეთ თავისუფალი ვაჭრობა [illegible] ეგონა, რომ თუ თავისუფალი ვაჭრობა იქნებოდა ბევრ პურს შემოიტანდენ და პური გაიაფდებოდა. ამ მიმდინარეობას ჩვენ ანგარიში გავუწიეთ და სასინჯავათ შემოვიღეთ პურის თავისუფალი ვაჭრობა. როგორც ხედავთ, არც ამ ზომამ გასჭრა. ახლა საჭირო შეიქნა პოლიტიკის შეცვლა. ჩვენ ახლა იმედი გვაქვს, პურს შემოვიტანთ ყუბანის ოლქიდან, თუ იქიდან პურის შემოტანა ვერ მოვახერხეთ, მაშინ სხვა გზა და საშუალება უნდა ვეძიოთ.. ამ საკითხის გადაჭრა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ პასუხს მოგვცემს ყუბანის მთავრობა.

**სასურსათო საქმის ორგანიზაცია**

სასურსათო პოლიტიკის საწარმოებლად, ცხადია, საჭირო არის ორგანიზაცია. ჩვენ დავინახეთ საუკეთესოდ, რომ საჭირო არის ამ ორგანიზაციაში შევიდეს ყველა სურსათის საქმეში დაინტერესებული ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, როგორიც არიან: კოოპერატივთა კავშირის, ქალაქთა კავშირის, ქ. თბილისის, რკინის გზის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სასურსათო განყოფილების და სხ. თუ ჯერაც არ შესდგა ეს საბჭო, იმიტომ რომ არის ერთგვარი უთანხმოება თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ. ეს დავა მგონია ამ დღეებში დამთავრდება და საბჭო შეუდგება თავის საქმეს.

როგორც ხედავთ, სურსათის საკითხი—ეს დიდი კითხვაა და ვეძებთ ახალ პოლიტიკას და გზებს. აქ გამოდიან ზოგიერთები და ებრძვიან ქარის წისქვილებს, არც ცნობა, არც ახალი წინადადება მათ არ შემოაქვთ. (ტაში სოც.-დემოკრატების სკამებზედ).

## წინადადება სხდომის გადადების შესახებ

**ი. მაჭავარიანი.** (ნ.-დ.) საკითხი მეტათ რთული და მნიშვნელოვანია და მასთან სავსებით ამოწურული არ არის. წინადადება შემომაქვს დღეს კრება გადაიდოს და ამ საკითხის განსახილველად საგანგებო კრება დაინიშნოს.

**ი. წერეთელი.** ლაპარაკობს სხდომის გადადების წინააღმდეგ და წინადადება შემოაქვს ორატორების სიტყვები 10 წუთით იქნეს განსაზღვრული. კენჭის ყრით, ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა ი. წერეთლის წინადადება და კამათი გაგრძელდა.

## გარდასვლის ფორმულა

ს. ფ. ა. პაპავას, ფაღავას და ს. დ. ა. ფარნიევის სიტყვების შემდეგ, რომელიც მხოლოდ წინა ორატორების ნათქვამი გაიმეორეს და ახალი არაფერი უთქვამთ, ეროვნულმა საბჭომ ს. დ. ფრაქციის ხმათა უმრავლესობით მიიღო შემდეგ სტერეოტიული ფორმულა გარდასვლისა.

„მოისმინა რა შეკითხვა სურსათის საქმის შესახებ და მთავრობის პასუხი, საქართველოს ეროვნული საბჭო აღნიშნავს, რომ მთავრობას საკუთარი ინიციატივით მიუღია ჯეროვანი ზომები და დაუნიშნავს რევიზია სასურ. საქმის, რესპუბლიკის და ხალხის ინტერესების დასაცავად და დარწმუნებული, რომ მთავრობა მთელი თავისი ძალით განახორციელებს მის მიერ აღნიშნულ ზომებს ამ დარგში გამეფებულ ბოროტების ასალაგმავად, უცხადებს ნდობას მთავრობას და გადადის მორიგ საკითხზე".

# საპარლამენტო ქრონიკა

**ეროვნულ საბჭოს სახელის შეცვლა**

გუშინ, 4 ოქტომბრის სხდომაზედ, ეროვნულ საბჭოს სახელი შეცვლილ იქმნა „საქართველოს პარლამენტათ". ეს წინადადება შეტანილ იქმნა სოც.-დემ. ფრაქციის მიერ. ამ წინადადებამ მიიღო 40 მომხრე და 30 საწინააღმდეგო ხმა. საკონსტიტუციო კომისიის წინადადება, რომ ჩვენი პარლამენტისათვის დაერქვათ „სახელმწიფო დარბაზი", უარყოფილ იქმნა. უარყოფილ იქმნა აგრეთვე სოც.-ფედერალისტთა წინადადება, რომ მიეღოთ „საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს" სახელწოდება.

სოციალ-დემოკრატების წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცა ყველა ფრაქციებმა. მიემხრენ მხოლოდ სომხები.

ამიერიდან ჩვენს პარლამენტს ჰქვია „საქართველოს პარლამენტი".

სხდომის დაწვრილებითი ანგარიში ხვალინდელ №-ში დაიბეჭდება.

# პროფ. ცუმაიერთან

გერმანულ საიმპერატორო ბიუროს თავმჯდომარემ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში შემდეგი ცნობები გადმოგვცა.

**ბულგარეთის საკითხი.**

ჩვენს მისიას უკვე უტყუარი ცნობები აქვს, რომ ცნობა, თითქოს ბულგარეთი ზავით შეკვროდეს შეთანხმების სახელმწიფოთ, სიმართლეს არ შეეფერება.

როგორც გუშინ მოგახსენეთ, გერმანიის, ავსტრო-ჰუნგრეთისა და ბულგარეთის ჯარები ერთად მონაწილეობდენ სამხედრო ოპერაციებში—1 ღვინობისთვეს. დღევანდელი ცნობებით მეფე ფერდინანდი, პარლამენტის უმრავლესობა და ჯარი ცენტრალურ სახელმწიფოთა მხარეზეა.

**ტრანს ოკეანეს პრეს-ბიურო.**

საქართველოს დეპეშათა სააგენტო ცნობებს იღებს ტრანს-ოკეანეს პრეს-ბიუროსაგან. ეს დაწესებულება გერმანულია და მეტად ავტორიტეტულიც, მაგრამ ხშირად მის მიერ მოწოდებულ ცნობებში ისეთი რამეს ვხვდებით, რაიც სრულებით სიმართლეს არ შეეფერება. ეს ცნობები, უთუოდ რაიმე საეჭვო წყაროებიდან არის დამატებული.

**გერმანეთის შინაური მდგომარეობა.**

გუშინ უკვე მოვახსენეთ, რომ ჰერტლინგის წასვლა მართალია, მაგრამ მის წასვლას არც ბულგარეთის საკითხთან და არც გერმანეთის უკანასკნელ სამხედრო ოპერაციებთან არაფერი საერთო არა აქვს.

მისი წასვლა დამოკიდებულია, განსაკუთრებით საყოველთაო საარჩევნო უფლების საკითხთან. გერმანული გაზეთები ამ ფაქტს უაღრესად სასარგებლოდ სთვლიან მუშათა კლასის და კონსერვატიულ ელემენტების დაკავშირებისათვის და სახელმწიფოს შინაგანი სიძლიერის განმტკიცებისათვის.

**დასავლეთის ფრონტზე.**

დასავლეთის ფრონტზე მოწინააღმდეგეთა იერიშები თვალსაჩინოდ შესუსტდნენ.

სენ-კანტენის მიტოვება სრულებით არ ეხება ჰინდენბურგის ხაზს.

თვით ქალაქი სრულებით განადგურებულია. გერმანელებმა ეს სიმაგრე სრულიად უბრძოლველად მიატოვეს.

ამერიკელები იტყობინებიან, რომ არგონის რაიონში გერმანელების კონტრ-შეტევა დაიწყოო.

მეტცის წინააღმდეგ მოქმედება ნელდება.

**პალესტინის ფრონტზე.**

დამასკი უბრძოლველად იქმნა დაცლილი.

გერმანელების მხრით მაშველი ჯარი გაიგზავნა და ალბად მალე მიაღწევს მიზანს.

მოსული და კიერკუში ოსმალთა ხელშია და იქ ბრძოლა სრულებით არ სწარმოებს.

**გერმანეთის დამოკიდებულება რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან.**

ბევრს უკვირს, თუ მრავალ საკითხებში რისთვის უჭერთ მხარს რუსეთის საბჭოთა მთავრობას, მაგრამ მე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ მასთან სამშვიდობო ხელშეკრულება დავსდეთ და ჩვენი მარადიული ჩვეულებაა ყოველი პირობა კეთილსინდისიერად დავიცვათ. მართალია, გერმანელებისთვის არასოდეს არ იქნება სასიამოვნო ბოლშევიკური პრინციპები, მაგრამ ჩვენ გვსურს კეთილმეზობლური განწყობილება დავამყაროთ რუსეთთან და ყოველ მთავრობას, რომელიც კი ჩვენს მოწინააღმდეგესთან კავშირს არ დაიჭერს ჩვენ ვცნობთ, მიუხედავათ იმისა, როგორიც არ უნდა იყოს მისი სოციალ-პოლიტიკური პროგრამა.

**გენერალი ალექსეევი.**

კიდევ ერთხელ უნდა მოგახსენოთ, რომ არავითარი მუქარა გენერალ ალექსეევის მხრით საქართველოს წინააღმდეგ მომართული სერიოზულად არ შეიძლება ჩაითვალოს. რომ ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიაც კი, საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქროს, ჩვენი ჯარების მხრით, უსათუოდ წინააღმდეგობას ჰპოებს და ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ უკრაინელები მას დაუყონებლივ ზურგიდან შეუტევენ.

ამაში ის, უთუოდ დარწმუნებულია და შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ მის ნეიტრალიტეტში.

ცნობა, რომელიც ხელმეორეთ გავრცელდა, თითქო ალექსეევს კავკავი აეღოს, სიმართლეს მოკლებულია.

**ჩრდილო კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი.**

ჩრდილო კავკასიის მთიელ ხალხთა სახელმწიფოს ორგანიზაცია კარგათ მიდის. ოსმალეთი მხარს უჭერს მის დამოუკიდებლობას.

ბრესტ-ლიტოვის დამატებითი ხელშეკრულების ძალით, გერმანეთს არ შეუძლია ჩაერიოს მათს საქმეებში, მაგრამ გერმანეთის მთავრობა უარს ვერ იტყვის მის ცნობაზედ, უკეთუ სხვა სახელმწიფოთა მიერ მისი დამოუკიდებლობა აღიარებული იქნება.

**ადერბეიჯანში.**

ოსმალებს თავის ჯარების ნაწილი მიყავს ადერბეიჯანიდან, მაგრამ იქ მაინც იმდენი რჩება, რომ ინგლისელების შემთხვევითი შეტევა უკუაქციოს. თუ საჭირო იქნება საქართველოდანაც იქნება გაგზავნილი გერმანელი ჯარის მაშველი ნაწილი.

**ბ ა ქ ო**

ბაქოდან ჩამოსულ შიკრიკებმა გვამცნეს, რომ ბაქოში სრული წესიერება აღუდგენიათ და მატარებლების მიმოსვლაც წესიერად მოწყობილა.

ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი ფონ-დერ-ჰოლცი უკვე ჩასულა ბაქოში.

**ნ ა ვ თ ი**

საქართველოსათვის გამოსაზიდ ნავთის მატარებლების მზადებას შეუდგენ და იმედი უნდა გვქონდეს, რომ ნავთი სულ მოკლე ხანში მოგვივა. აქამდე მის გამოზიდვას, ხელს უშლიდა ოსმალეთის ჯარების მოძრაობა და რკინის გზის მოუწყობელი მდგომარეობა.

**გემების საკითხი**

ფოთის ქალაქის თავის დეპეშის შესახებ, თითქოს ნავთსადგურის კომენდანტს საქართველოს ყველა სახაზინო გემები ჩამოერთვას, ჩვენს დიპლომატიურ მისიას ჯერ არავითარი ცნობა არ მიუღია.

**ინციდენტი ალბულახში**

საზოგადოებაში ბევრს ლაპარაკობენ იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც ალბულახში მოხდა. საქმის ვითარება შემდეგია: კომისარ ოსიპოვს გაუბედნია ხელი შეეხო გერმანელ ჯარისკაცისთვის და ხიშტის წართმევა მოუნდომია, უკანასკნელს კი თოფი უსვრია მისთვის.

ეს ფაქტი უაღრესათ სამწუხაროა, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ყოველ შეგნებულ ჯარისკაცს მხოლოდ ასე შეუძლიან დაიცვას თავისი მოვალეობის ღირსება.

# ქრონიკა

## თბილისი.

**გეგეჭკორისა და მაზნიაშვილის დაბრუნება.** ღვინობისთვის 3, სად. 4 ს. ქ. ეკატერინოდარიდან დაბრუნდენ, ევ. გეგეჭკორი და გენ. მაზნიაშვილი.

**ქართულ სატეხნიკო საზოგადოების** წლიური კრება შესდგება დღეს, სად. 7 ს.

— კვირას, ღვინობისთვის 6-ს, დილის 12 ს., ქართულ კლუბის საზაფხულო განყოფილებაში (სასახლის ქ. № 5), ქართულ-გერმანულ საზოგადოებაში გაიმართება ლექცია ბ-ნ სილოვან ვესტერჰაგენისა შემდეგ თემაზე: „ეკონომიური ვითარება ევროპაში ომიანობით შექმნილ პირობებში და კავკასიის მნიშვნელობა ომის შემდეგ“. ლექცია ბუნდოვან სურათებით მოეწყობა. ლექციის მერე კამათი. საჭიროა ჩვენი საზოგადოების ყურადღება.

**ბონების დამამზადებელი** ექსპედიციის ერთი გამძარცველთაგანი ვერულია დააპატიმრეს ბანძაში. ზედ 32,000 მან. გატაცებულ ფულიდან აღმოაჩნდა.

**დაპატიმრება.** თბილისის მილიციის უფროსის განკარგულებით 3 თვით დააპატიმრეს დავ. აბულაძე, როგორც საზოგადო წესიერებისათვის მავნე პირი.

— თბილისის მილიციის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს: 1) ვ. და ა. ვოლიატოვები ქუჩაში წესიერების დარღვევისათვის და 2) სასადილოს პატრონი ვ. ზ. აწკარუნაშვილი, ფარულად მაგარ სასმელების გაყიდვისთვის.

**თავის მოკვლა.** ღვინობისთვის 3, სალამ. 7 ს., ჩერქეზიშვილის ქუჩა № 143, საკუთარ ბინაზე თავი ჩამოიხრჩო ნიკიტა შჩიკოვსკიმ.

**საერობო არჩევნები დუშეთში.** დუშეთის მაზრაში საერობო ხმოსანთა არჩევნები უკვე დაიწყო.

**მეგრელთა კრება.** კვირას, ღვინობისთვის 6, დილის 12 ს., სასახლეში, საფინანსო კომისიის ოთახში № 23 შესდგება მეგრელთა დამხმარე კომიტეტის და ეროვნულ საბჭოს წევრთა საერთო კრება. კრების საგანია: სამეგრელოს ადმინისტრაციის რეორგანიზაცია.

**ექსპედიცია ყარაბახში.** ოსმალეთის გენერალი ნაური-ფაშა ჯარებით გაემართა ყარაბახში, რომელმაც არ იცნო ადერბეიჯანის მთავრობა.

— **სამხედრო ექიმების კრება** პროფესიონალურ კითხვათა შესახებ დანიშნულია დღეს, 4—6 ს., ქართულ კლუბში. სასურველია, ყველა ამხანაგების დასწრება.

**„ალიონელთა“ კრება.** ღვინობისთვის 6, კვირას, დილის 10 ს., გაზ. „ალიონის“ რედაქციაში დანიშნულია შეერთებული კრება „ალიონის“ ჯგუფისა და საპარლამენტო ფრაქციისა.

**მიწის-მზომელთა სასწავლებელში** ჯერ-ჯერობით ნაციონალიზაცია შემოღებულია პირველს კლასში, მაგრამ მოწაფეთა სიმცირის გამო გაქართულებულს კლასში სწავლა არა სწარმოებს. სასწავლებლის მმართველობამ ხსენებულ კლასისათვის თხოვნების შემოტანის ვადა განაგრძო 15 ოქტომბრამდე. როგორც ვიცით, მიწის-მზომელთა სასწავლებელი, გარდა დავმთარებულ სპეციალურ ცოდნისა, სწავლა-დამთავრებულთ მიმდინარე წლიდან უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებასაც ანიჭებს.

**რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი:** „მასწავლებელთა ორგანიზაციები ამერიკაში“, გიჟუევისა, თარგმანი კატო ბურჯანაძისა.

— ეროვნულ საბჭოს და მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეებმა დაარსეს ეკონომიური საზოგადოება, რომლის მიზანია მიაწოდოს თავის წევრებს სანოვაგე და ყოველგვარი საჭირო საგნები. დროებით არჩეულია გამგეობა, რომელმაც მოქმედება უკვე დაიწყო. წევრებად ეწერებიან დროებითი ხაზინადარებთან, რომელნიც არჩეულნი არიან მოსამსახურეთაგან თითოეულ დაწესებულებაში ცალკე და ჩაწერის დროს იხდიან საწევრო გადასახადს 5 მან.

— თბილისში მყოფ უმუშევართა საერთო აღწერა სწარმოებს სამ დღის განმავლობაში—5, 6 და 7 ღვინობისთვეს დილის 8 ს. 2 საათამდე და სად. 4-6 საათ. ამ დღეებში ყველა უმუშევარი ქალი და კაცი ჩაეწერება ქალაქის შემდეგ ადგილებში. 1) ნაძალადევი. ნაძალადევის თეატრი. 2) სახალხო უნივერსიტეტი—მიხეილის პრ. 91. 3) ავლაბარი.—კახეთის ქ. № 1. 4) წყნეთის ქ. № 9, ვერის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი. 5) ხარფუხი. სოფიოს ქ. № 3, ორთაჭალის მუშათა კლუბის ბინა. 6) მოედანი. კუთხე ციხის გადასახვევისა და ვორონცოვის ქუჩისა—„მოსკოვსკაია“-ს სასტუმრო. 7) ქალაქის შრომის ბირჟა. მადათოვის ქ. № 11, ალექ. ბაღის პირდაპირ.

**მკვლელობანი გორის მაზრაში.** სოფ. აბანოში მოჰკლეს ლიდო ბაგრატიონ-დავითაშვილი, სოფ. წრომში—გ. ტატიშვილის ვაჟი—კადეტი, სოფ. ფხვენისში—ნემორაძე.

**რედაქციისაგან.** ჩვენი გაზეთის სამშაბათის №-ში საპარლამენტო ქრონიკაში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ეროვნულ საბჭოში განსახილველად დანიშნულია დამ. ნაც. დემოკრატების შეკითხვა გ. ბაგრატიონის და სხვათა დატუსაღების შესახებ. ეს ცნობა მართალი არ აღმოჩნდა, თუმც თითქმის ყველა გაზეთების შაბათის №-ში მოხსენებული იყო ეს ცნობა.

# ქართული ლატარია

**დასის შედგენა.** ქართული ლატარიის კომიტეტის გამგეობამ გადასწყვიტა ქართული დასის გარეშე დარჩენილ მსახიობთაგან შეადგინოს დრამატიული დასი, რომელიც ლატარიის კომიტეტის გამგეობის თანხმობით გამართავს წარმოდგენებს ლატარიის ბილეთების გასასყიდად.

**ლოტოს მოწყობა.** ლატარიის კომიტეტის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ნება დართოს მას ლოტოს თამაში გამართოს კლუბებში იმ პირობით, რომ ჰოგების ნახევარი მომგებთ ლატარიის ბილეთებით მისცეს.

**1000 ბილეთის შეძენა.** მთავარ საბაჟოს უფროსმა 1000 ბილეთი შეიძინა ლატარიისა.

# თბილისის ქალაქის გამგეობის გადადგომა

ქალაქის გამგეობამ იქონია რა მსჯელობა იმის შესახებ, რომ საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე უარჰყო საბჭოს თავმჯდომარის წინადადება განსაკუთრებულ რაზმის მოქმედების შესახებ და მით გამოუცხადა უნდობლობა გამგეობას, დაადგინა: გამგეობა მთელის თავის შემადგენლობით სამსახურზე უარს აცხადებს, რაც უნდა მოხსენდეს საბჭოს მომავალ კრებაზე.

—

დღეს ქალაქის გამგეობაში დანიშნულია სენიორენ-კონვენტის (ფრაქციების წარმომადგენელთა) კრება, რომელიც განიხილავს საკითხს ქალაქის გამგეობის გადადგომის შესახებ.

# პოლონეთის ელჩი საქართველოს მთავრობასთან

პოლონეთის მთავრობამ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან საგანგებო წარმომადგენლად დანიშნა ბ. ვ. ოსტროგორსკი. საელჩოს მდივნად მოწვეულია ბ. კ! დმოხოვსკი. რწმუნებულების აქტი მდივანმა გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრს ბ. ნოე რამიშვილს წარუდგინა.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს.

## ო მ ი

**ბრძოლა ჰინდენბურგის ხაზზე**

**პარიზი.** ღვინობისთვის 3. სამხედრო ცნობა. სენ-კანტენის ოლქში „ჰინდენბურგის“ პოზიციებზე ბრძოლა გაცხოველდა. განსაკუთრებით ლესდონის და სეკუშარის შუა, სადაც გერმანელებმა დიდი წინააღმდეგობა გამოიჩინეს. შემდეგ ფრანგები გამაგრდენ სენ-კონტენის აღმოსავლეთით და ფუნსის აღმოსავლეთით ბრძოლით წინ წაიწიეს. ფრანგებმა დაატყვევეს ასი კაცი რეიმსის ჩრდილო დასავლეთით. ფრანგებმა კორმე აიღეს. ისინი ფონკერთან გერმანულ პოზიციებს დაუახლოვდნენ. ნეუვილი (სიტყვა გაშვებულია) შამპანებში ბრძოლა გაცეცხლდა. აქ ფრანგებმა გაიფართოვეს ასპარეზი სომმიცის ჩრდილოეთით, ფრანგულ ჯარებმა გასტეხეს მტრის ძლიერება ბლონ-პონტოს და გეტრის ფერმასთან. დღე-ღამეში ფრანგებმა 200 გერმანელი დაატყვევეს.

**მოკავშირეთა გამარჯვება**

ამერიკული სამხედრო ცნობა. ღვინ. 3. ამერიკულ ჯარებმა ფრანგებთან ერთად უკან დაახევინეს მოპირდაპირეს. მათ დაიჭირეს ბლან-მონტომი და სხვა გერმანული პოზიციები შამპანებში მოზელის და არგონის ტყეებს შუა. ჩვენ მიერ გამართულ საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ტყვეები წამოვასხით.

**ინგლისური სამხედრო ცნობა**

**ლონდონი.** ღვინობისთვის 2. ვერდენის მთელ ასპარეზზე მოკავშირეთა გამარჯვებაა. ბელგეთის ფლანდრიაში გუშინ ბელგიელ-ინგლისურ ჯარებმა იერიში მიიტანეს რულერის არემარეზე. გადასჭრეს რულერის გზა მენიშუსთან და მენინს ემუქრებოდნენ. დუე-კამბრეისენ-კანტენის ასპარეზზე ინგლისის ჯარებმა აიღეს პროვილი, ტილუა და ახლაც იბრძვიან კამბრეს ახლომახლო. ინგლისელებმა აიღეს ლემეჟი, ლეკენცა, ტორინი და შემენ-დე-ლამის სამხრეთით მდებარე ადგილები. იტალიელებმა აიღეს სუპირი. შამპანებში არგონის აღმოსავლეთით ფრანგ-ამერიკელებმა წაიწიეს. ფრანგებმა მენტუას მიაღწიეს.

**პალესტინის ასპარეზი.** იორდანის აღმოსავლეთით 1000 ოსმალო დაატყვევეთ.

**კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი.** შტადენის ჩრდილოეთით მტრის დამარცხების დროს 100 ტყვე წამოვიყვანეთ. იპრიდან როზელიარ-მენინის გზებზე მტერმა უშედეგო იერიშები მოიტანა. მტერი დედეგენში განმტკიცდა. კამბრესთან გამართულ ბრძოლის მე-5 დღე მოწინააღმდეგისთვის უშედეგოდ დამთავრდა. სანკურტის ჩრდილოეთით მლეზვიგის და კურფირსჰესენის პოლკებმა დაარცხეს მტრის მიერ შვიდჯერ მოტანილი ცხარე იერიშები. სამხრეთით მტერი აბოკურტს იქით შეიპყრა. რუმილი მტრის ხელში დარჩა.

**ბოინის ლაშქარი.** ელეტის და უაზის შუა ჩვენი ფრონტი გადის სენ-კონტენის აღმოსავლეთით. უაზისთან (გაშვებულია) სეკერახტის ორივე მხარეს მტერმა გაარღვია. სენ-კონტენი მტერმა დაიჭირა.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი.** ელეტის და ენის შუა რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით ვესლიდან ჩვენი ჯარები დავწიეთ. მტერი დაედევნა ჩვენს უკუქცეულ ნაწილებს (გაშვებულია). შამპანებში მტერმა იერიშები განაახლა, მაგრამ შედეგები არა ჰქონია. ბოლო ხანებში ჩვენგან დაჭერილი ადგილები გადის მონტემუადან შალერანგით, ანტრის ტყით, ბინარვილეს ახლოს და არგონის ტყით აპრემონთან. ჩვენმა მოწინავე რაზმებმა მრავალი სასტიკი იერიში მოიგერიეს.

**ბერლინი.** ღვინობისთვის 2. სალამოს ცნობა. ფლანდრიაში და შამპანებში ძლიერი ბრძოლებია. კამბრესთან დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

**ვენა.** ღვინობისთვის 2. სამხედრო ცნობა. იტალიის ასპარეზზე ზომიერი საარტილერიო სროლა და პატრულთა ბრძოლებია გამართული.

**ბრძოლა სოფიასთან.**

**ბერლინი.** ბულგარეთში რუმინეთიდან გაიგზავნა ავსტრო-გერმანული დივიზიები პლონცნერის და ბალტინის ხელმძღვანელობით ალგონეთიდან. გაკვრით მოსული ცნობაა, რომ სოფიას სამხრეთით ბრძოლები იმართება. ბრძოლა ალბად ბულგარელ მეამბოხეებს გაუმართეს.

**ბერლინი.** კონსერვატორული პრესა ჰქადაგებს ბულგარეთის საშინაო საქმეებში ჩარევას. გერმანეთის მთავრობამ გადაწყვიტა ძალით აიძულოს ბულგარეთი შეწყვიტოს საზავო მოლაპარაკება.

**ბერლინი.** სოფიიდან იუწყებიან, რომ ავსტრო-გერმანული ჯარები მოვიდნენ შაბათს, ისინი მოვიდნენ ამბოხების ჩასაქრობად. როგორც ხმებია, ახლა სდგება კაბინეთი, რომელშიაც რამდენიმე გენერალი შედის.

**ავსტრიელთა დახევა ალბანიაში**

**ვენა.** ღვინობისთვის 3. სამხედრო ცნობა მონტე-ტომბას ჩრდილო კალთაზე ჩვენი მოწინავე რაზმები კარგად მოქმედობენ. ბულგარეთის ამბების გამო, ალბანეთში ჩვენი ასპარეზი უკან დავწიეთ. ამ გვარად ბერატი უომრად დარჩა მოპირდაპირეს.

**პალესტინის ასპარეზი**

**სტამბოლი.** ღვინობისთვის 2. სამხედრო ცნობა. მძიმე ბრძოლათა შემდეგ დამაკოს სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით სიმაღლეებზე ჩვენი და გერმანელთა ჯარები რომელთაც დიდი გმირობა გამოიჩინეს 1-ლ ღვინობიათვემდე იძულებული გახდნენ ქალაქი მტრებისთვის დაეტოვებინათ. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

**გერმანიის ახალი კაბინეტი**

**ბერლინი.** ფონ-პაიერის (?) უარის შემდეგ უმრავლესობა მაქს ბადენის პრინცის კანდიდატურაზე შეჩერდა. პრინცი დათანხმდა თუ მის პროგრამას უმრავლესობა მხარს დაუჭერს. სამინისტრო პარლამენტარული იქნება. პრინცის პროგრამა არ გამოუქვეყნებიათ. ლიბერალური პრესა სიხარულით მიეგება პრინცის კანდიდატურას.

**ბერლინი.** 1 ღვინობისთვე. ავსტრიული რაიჰსტაგი გაიხსნა. მინისტრ-პრეზიდენტის სიტყვაზე ჩეხებმა პროტესტი განაცხადეს. გერმანეთის ერთგულობისათვის ლაპარაკზე ჩეხები ყვიროდნენ „ძირს გერმანეთი!“ მოხდა შეტაკება. ბურჟუაზიულ წრეებში უთანხმოება გრძელდება.

# დამასკო

დეპეშები გადმოგვცემენ ცნობას, რომ ინგლისის ჯარს აუღია ქალაქი დამასკო. უკანასკნელ დროს პალესტინის ფრონტზე ომის გამო ხელახლა გამოჩნდენ ქალაქები და ადგილები, რომელნიც თითქო უკვე სამუდამოთ ეკუთვნოდენ გადასულ მოგონებას და ხელახლა აღელვებენ გრძნობებს. ასე იყო იერუსალიმის აღება, შემდეგ ბაღდადის, ორი კვირის წინათ აიღეს ნაზარეთი და ბოლოს დამასკო.

ზოგი ეს ქალაქი რელიგიურ კულტის წყალობით შეიქნა ცნობილი, დამასკო აერთებს ორივეს რელიგიურ კულტის გარდა უფრო განთქმული იყო, როგორც სავაჭრო ცენტრი. დამასკო მთავარი ქალაქია ეხლა ოსმალეთის სირიის ვილაიეტის და რეზიდენციაა გენერალ-გუბერნატორის, მდებარეობს ანტალიკანის მთისძირში. და მდიდარია ბუნებით.

გადმოცემით უწინ დამასკოს მაჰმადი მეოთხე ქვეყნის სამოთხეს ეძახდა და კეისარი იულიანი კი აღმოსავლეთის თვალსა. მთელ ქვეყანაზე განთქმული იყო დამასკოს რკინა და იარაღის ოსტატები. აქედან მათ ხელობას სწავლობდენ მეზობლები.

თემურლენგმა თავის დროს წაასხა ისინი სამარყანდში, რის შემდეგ წარმოება შესწყდა.

სანამ სუეცის არხი გაიხსნებოდა, დამასკო ერთადერთი სავაჭრო გზა იყო მესაპოტამიისა და სპარსეთთან, შემდეგ უფრო იაფი და უვნებელი საზღვაო გზა აუქმებს მის მნიშვნელობას. დამასკოში აუარებელი ისტორიული ნაშთებია: აქ სცხოვრობდა ანტიოქიის პატრიარქი და მექისა და მედინის შემდეგ ითვლება მესამე წმიდა ადგილად მაჰმადიანებისთვის. დამასკოში ეხლაც აკეთებენ აბრეშუმის, ბამბის და მატყლის ქსოვილებს და ჯავაირჩები (ювелиры) ოქროს და ვერცხლის ხელქმეს, სადაფის ავეჯი და სხვ. მცხოვრებთა რიცხვი 150,000 შეადგენს, აქედან სამი-მეოთხედი მაჰმადიანებია. ამ ქალაქის დაკარგვა ძალიან საგრძნობელი იქნება ოსმალეთისათვის, რომელსაც ის ჰფლობდა 516 წლიდან.

# ადერბეიჯანში

## ბ ა ქ ო

**ბაქოს აღების დღეები**

ბაქოს აღების შემდეგ განჯაში დიდი ლაპარაკი იყო ოსმალთა მიერ მიყენებულ უბედურობაზე. იტყოდნენ, რომ მოკლულ-დაჭრილთა რიცხვი 28 ათასს მიაღწევსო. ამბობდნენ, რომ ცოცხლად გადარჩენილნი ძლივს ასწრობდნენ გვამების ზღვაში გადაყრას. ბევრი ჭკუაზე შეშლილა, უმეტესად ქალები, რომელნიც თვითონ ჰხედავდნენ თავის შვილთა წამებას. მაგრამ გამანადგურებელ სტიქიონმა მალე გაიარა და ქალაქში წესიერება დამყარდა.

**ბაქოში შესვლის აკრძალვა**

ბაქოში შესვლა-გამოსვლა კერძო პირთათვის ამ ჟამად აკრძალულია. ამბობენ, რომ გზა მალე გაიხსნებაო. ბაქო საალყო წესებშია გამოცხადებული.

**ბაქოს გაზეთები**

ბაქოში ამ ჟამად ორი გაზეთი გამოდის—„კასპი“ და „აჩიკ სოზ“-ი. გაზეთებს ჰყავთ ცენზურა.

**ბიჩერახოვი**

ბიჩერახოვი ამ ჟამად პეტროვსკში იმყოფება.

**ადიუტანტის დაჭრა**

უცნობმა პირმა ყუმბარა ესროლა ოსმალეთის კორპუსის სარდლის მურსალა-ფაშის ადიუტანტს. იგი დაჭრილია. მიზეზები არ იციან.

**ჯაფაროვის დაბრუნება**

ადერბეიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენელი საქართველოში მ. ჯაფაროვი ადერბეიჯანიდან თბილისში დაბრუნდა.

**მთავრობის მოქმედება და ოსმალები**

ოსმალებმა ბაქოში მხოლოდ სამხედრო საქმე ჩაიგდეს ხელში. დანარჩენ საქმეებში ადერბეიჯანის მთავრობა დამოუკიდებლად და თავისუფლად ჰმოქმედობს.

**ნავთი საქართველოსთვის**

ადერბეიჯანის მთავრობას დაუდგენია საქართველოს საჭიროებისათვის 30 ცისტერნი ნავთი გამოგზავნოს ბაქოდან.

## გ ა ნ ჯ ა

ბაქოს აღება განჯამ იდღესასწაულა. ქალაქი გაამშვენეს ხალიჩებით და ბაირაღებით; ქუჩებზე გრგვინავდა ოსმალური ორკესტრი, განწყობილება საზეიმო იყო. ორი დღის შემდეგ განჯაში ჩამოვიდა ბაქოს ნავთი, რომლის ფასმაც საგრძნობლად დაიწია.

არამაჰმადიანებს განჯაში ძნელად ეცხოვრებათ, მეტადრე მათ, ვინც თათრული ენა სულ არ იცის. ადგილობრივ ბაზრის ნიხრი ასეთია: თეთრი პური გირ. 2 მ., შავი—1 მ. 80 კ. და 1 მ. 60 კ. ერბო გირვანქა 10 მ., ფუთი 300 მ. კვერცხი ასეული 30—35 მან. ცხვრის ხორცი გირ. 2 მ. ძროხის ხორცი 1 მ. 80 კ. და 1 მ. 60 კ. ქალაქში სიწყნარეა. ბაზარზე ამიერკავკასიის კომისარიატის ბონებს იღებენ.

# უცხოეთის ამბები

## კ ა ვ კ ა ს ი

დროებით მთავრობის (არაბოლშევიკური) ორგანო, რომელიც მოზდოკში გამოდის, ასე გვიხატავს კავკავის მდგომარეობას: „ქალაქი ფაქტიურად ინგუშების ხელშია. საოლქო მთავრობას, ბოლშევიკების კომისართა საბჭოს ბ-ნი ჯემაგიევი განაგებს. კავკავის სახელმწიფო ბანკი ნაზრანშია გადატანილი. ინგუშებმა ბოლშევიკებისგან საკმაოდ ისარგებლეს: მიიღეს იარაღი, ფული და სხ. ველით დროს, როცა ჯაბალიევი, ახრიევი და სხვები მოიშორებენ ბოლშევიკებს. ველით— ამბობს გაზეთი და ეს მალეც მოხდებაო“.

**პეტროვსკის და დერბენტის აღება.**

ბიჩერახოვმა აიღო პეტროვსკი, დერბენტი და უკანასკნელი გადასცა მთიურ მთავრობის განკარგულებაში, ხოლო პეტროვსკში ახალი რაზმი სდგება.

## ჩ ი ნ ე თ ი

**კანტონის საბჭო ჩინეთში.**

კიევში მიღებულ ცნობით სამხრეთ ჩინეთში დაფუძნებულია თვითმართველობის პროვინციალური ორგანოები. მათ უძღვება კანტონში მყოფ ორგანოთა დელეგატების საბჭო, (ნამდვილად კანტონის დამფუძნებელი ყრილობა) რომელიც მთავრობას და პარლამენტს ეწინააღმდეგება. მან შეიმუშავა ახალი კონსტიტუცია, რომელზედაც ბერლინის გაზეთების სიტყვით, დიდი გავლენა ბოლშევიკურ კანონმდებლობამ მოახდინა. უცხოელებისგან დამოუკიდებელ ჩინეთის პოლიტი-

...კამ და სახელმწიფოებრივ წყობილების ფედერატიულმა პრინციპმა კანტონის საბჭოს ჩრდილო ჩინეთში მრავალი თანამგრძნობელი შესძინა.

**ჩინეთის ახალი პრეზიდენტი.**

კიევში მოსულ ცნობით, პეკინის პარლამენტმა პრეზიდენტად ხაიმჩე-ჩანგა ამოირჩია.

## შავი ზღვის პირის ჩვენი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვების ამბები

(დასასრული)

მკითხველმა საზოგადოებამ ჯერაც არ იცის ის, თუ როგორი მოიქცა ჩვენი სამოქალაქო უწყების წარმომადგენელი, ჩვენი მთავრობის საგანგებო რწმუნებული, ბათომის დამარცხებაში გიზო ანჯაფარიძე. სწორედ იმ დროს, როცა ასე დიდებულად, ფენომენალურად იახელეს თავი ჩვენმა მეომრებმა და მათმა მეთაურებმა: იაშვილმა-ქკადუა-დუნდუამ, ბრძოლის ველზედ დაქანცულმა ოფიცრებმა მოინდომეს გულგაშლილად სიამოვნება; იმავე სასტუმროში რაღაც შემთხვევით მთავრობის „საგანგებო" რწმუნებული ბრძანდებოდა; იმის მაგიერ, რომ მთავრობის სახელით იგი მისალმებოდა სიტყვით მიჰგებებოდა ამ ლომ-გმირებს, ახალ მოვლინებულ „ბატონს" არ ესიამოვნა, რომ სუფრაზედ შემომსხდარმა ოფიცრებმა ვერ შეამჩნიეს მისი იქ ყოფნა. როცა მას ცოტა შეზარხოშებული (ღვინით შექეიფებული) გმირი-ოფიცერი—დუნდუა შეხვდა კარებთან, იმის მაგიერ, რომ გზა აევლო, ასე შესძახა მას: „იცით მე ვინ ვარ, მე შემიძლია თქვენი გაუბედურება, „გასალდათება!" რა თქმა უნდა, გმირს, რომელიც ყოველ წამს სასტიკ ბრძოლის ველზედ სიკვდილს სიცილ-ხალისით ეგებება, ასეთი რისხვა ვერ შეაშინებდა. ამ შემთხვევის შემდეგ ძველებური წესით თვით შეურაცყოფილის საჩივრის თანახმად გამოუძიებლად ჩვენი მხნელი და გმირი ოფიცერი მთავრობის განკარგულებით დაატუსაღეს. ამნაირად ჩვენი ქვეყნისთვის სახიფათო და საშიშარ ფრონტს ერთი სწორუპოვარი გმირი მოაკლდა და 350 კაცისაგან შემდგარი რაზმიდან 150 მეომარი—დუნდუას რაზმი— შეურაცყოფილად გრძნობს თავს და ფრონტიდგან დასაბრუნებლად ემზადება. როგორც არ უნდა შევხედოთ ამ მოვლენას, არას გზით არ შეიძლება ჩვენი მთავრობის რწმუნებულის გამართლება. მცირეოდენი ტაქტიკის, ჩვეულებრივი მოქალაქობრივი ნიჭის მქონე კაცისათვის შეუძლებელია, რომ უმიზეზოდ ვინმე მას შეეხოს, არა თუ მთავრობის ნდობით აღჭურვილს, არამედ უბრალო მომაკვდავსაც; მაგრამ არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ყოველგან, ყოველნაირ შემთხვევაში ხიფათი, ჩხუბი, შეტაკება, უსიამოვნება, თვით მისი განსაკუთრებული ბუნებრივი თვისების გამო, შეემთხვევა ჩვენი ხალხი, ვინც უნდა იყოს ის: არისტოკრატი, თუ გინდ უბრალო და ჩაგრული გლეხი ან მუშა, ვერ ითმენს ყოყოჩობას, მედიდურობას, ამპარტავნობას.

ადვილი წარმოსადგენია, რომ მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა სახალისოდ შეკრებილ ოფიცერთა ჯგუფს მთელი თავის არსებით აგრძნობია, რომ ის რაღაც დიდი თანამდებობის პირია, რომელსაც ყველა იქ მყოფთა დანჯა, დახოცა და გაუბედურება შეეძლო. როგორც დანამდვილებით გავიგე დუნდუა ერთი იმ რაინდ მეომართაგანია, რომელიც ბუნებით ომის ცეცხლის სფეროსათვის არის დაბადებული: დუნდუა და ქკადუა მხოლოდ მაშინ იჩენენ თავიანთ განსაკუთრებულ ნიჭს, როცა უკიდურესი მდგომარეობაა, როცა რიცხვით დაუძლეველი მტრებისაგან მცირეოდენი გუნდი შემორტყმულია, ამნაირ გარემოებაში რაღაც ზე-კაცურია ამ გმირთა გაბედულობა-მამაცობა-მხნეობა. ნუ თუ ასეთ შესამჩნევ ადამიანებს ცოტაოდენი შეცდომა არ უნდა ეპატიოს?

მთელი შეუგნებელი მეგრელ-გლეხობის სასტიკი დანაშაულობა სამშობლოსადმი ამ ორმა მეგრელმა ოფიცერმა—ქკადუა-დუნდუამ—დაგვავიწყა დ მეგრელი განათლებული კაცი ამ მისი კუთხისათვის სასახელო გმირებს სასჯელს უმზადებს. მარტო ერთ შემთხვევაში კი არ გამოუჩენია ამ ჩვენი მთავრობის საგანგებო რწმუნებულს აჩქარება და შეცდომა. სოჭიდგან ჩვენი ჯარის მთავარსარდალმა მაზნიაშვილმა გააძევა სამი ბოლშევიკი მთავრობის მოხელეები, რომლებმაც ჩვენი ჯარის შემოსვლის დროს გასაქცევად მომზადებულ ბოლშევიკებს ორი მილიონი სახელმწიფო ფული გაატანა; მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა, სოციალისტებთა შეერთებული კავშირის თხოვნით, დაარღვია სამხედრო მართველის განკარგულება და სამი ბოლშევიკების მოთავე—ბოლდირევი, ჯანაშია დააბრუნა.

დღეს სოჭის მიდამოებში აშკარა, დაუბრკოლებელი ქადაგება ქართველების წინააღმდეგ; ტუაპსის აღების შემდეგ საგანგებო რწმუნებულმა ქალაქის თვითმართველობაში შეკრება მთელი რუსობა და ოფიცრულად განუცხადა მთავრობის სახელით, რომ ქართველი ჯარი მხოლოდ იმიტომ მოვიდა ტუაპსის და სოჭის ოლქებში, რომ რუსებისათვის გზა გაეწმინდათ და მათთვის მიეცათ საშუალება დამფუძნებელ კრებისათვის მომზადებულიყვნენ; თვით ქართველებს კი ამ მიდამოებში არავითარი ინტერესი არ აქვთო. როცა ფინანსთა მინისტრისაგან სხვადასხვა დაწესებულებათა მომწყობი კომისია მოვიდა ტუაპსეში და აუხსნა ხალხს, რომ აღმშენებლობითი მოქმედებას უნდა შეუდგეს, რომ საჭიროა სახელმწიფოს შემოსავალზედაც იფიქროს ხალხმა, რომ მომავალში ასცდეს მრავალმხრივ ხიფათს, ზოგიერთმა პოლიტიკანებმა უთანხმოება დაინახეს ამ აზრსა და საგანგებო რწმუნებულის ქადაგებას შორის, რომელიც არავითარ მოთხოვნილებას არ სცნობდა საჭიროდ ამ ბედნიერ ხალხისათვის, თითქოს ქართველი ხალხის დანიშნულება იყოს რუსებისათვის ეხლაც მრავალი მსხვერპლის გაღება და თავის უმანკო შვილების სისხლის დაღვრა.

საჭიროა ჩვენმა მთავრობამ მეტი დაკვირვება და წინდახედულობა გამოიჩინოს, როცა განაპირა ადგილებში ჰგზავნის საგანგებო რწმუნებულებს.

აფხაზეთშიაც დიდი უბედურება მზადდება ჩვენთვის: ძალდატანებით, რისხვით და წყრომით რომ ხალხის გულის მოგება შესაძლებელი ყოფილიყო, რუსეთი არ დაიღუპებოდა; დროით უნდა დაუკვირდეთ ამ განაპირა ადგილების მდგომარეობას.

ნიკო თავდგირიძე.

P. S. სამწუხაროდ ჩვენდა უკანასკნელი ცნობა მოვიდა, რომ ამ წერილში აღწერილი გმირები ქკადუა და დუნდუა ორივე დაღუპულა ტუაპსესთან უკანასკნელად ბოლშევიკების შემოტევის დროს.

ქკადუას ჩვეულებრივად უბრალო ავტომობილზედ დადგმულ პულემოტით გაუბედნია წინ, ბოლშევიკთა რიცხვ-მრავალი რაზმი 70 ვერსი გაუცილებია პოზიციის და იქ კაზაკები შებედვრია, ქკადუას უფიქრია რომ ისინი მოკავშირე ყუბანის კაზაკები არიანო, შეუჩერებია ავტომობილი და მოუწოდებია კაზაკები, მაგრამ იმათ დაუხლიათ ერთბაშად ტყვიები და მოუკლავთ ყველა ავტომობილში მჯდომნი. დუნდუა მეორე ფრონტზედ ნოვოროსიის მხრივ მედგრად იცავდა პოზიციას, მაგრამ უთვალავი მოწინააღმდეგენი მოაწვა, სანამ პულემოტი არ დაიცალა ტყვიისაგან მუსრს ავლებდა მტერს, 2500 მოწინააღმდეგე დააწვინა ბრძოლის ველზე და შემდეგ თვითონაც დაიღუპა. დიდება სახელს ამ გმირებისას. სამშობლო არას დროს არ დაივიწყებს ამ თავდადებულ მამულიშვილების ღვაწლს.

## ფიზიკურ აღზრდაზე

(დასასრული)

მაგრამ ძველი მეთოდის მომხრენი მარტო მუშაობითობით არ დამარცხებულან; სპორტიულ შეჯიბრებაში მათ არც ერთი ადგილი არ დაუკავებიათ. ძველი მეთოდის მომხრეთ თავიანთ კრიტიკაში შვედურ მეთოდის წინააღმდეგ არავითარი საბუთი არ წამოუყენებიათ. დასამტკიცებლად მის უვარგისობას უთითებენ იმ ფაქტს, რომ მოვარჯიშეთა რიცხვი შვეციაში უდრის მარტო 2000 კაცს. ციფრების წაკითხვა არ კმარა, მათ ახსნაც სჭირიათ. შვეციას უკავია ვრცელი ტერიტორია, მცხოვრების რიცხვი კი მარტო $5^{1}/_{2}$ მილიონს უდრის, რომლის უმეტესი ნაწილი სოფლად სცხოვრობს და მძლავრ საზოგადოების შექმნას ეს მოვლენა ხელს ვერ შეუწყობს. სამაგიეროდ შვეციაში ძალიან მისდევენ ყოველნაირ სპორტს. დანიაში, სადაც იმავე შვედურ მეთოდს მისდევს მემუშაითეთა რიცხვი (გარდა მოწაფეებისა) უდრის 1000. დაუმატებთ რომ დანიას მარტო 3 მილიონი მცხოვრები ჰყავს. არც ის აზრია სწორე, ვითომც შვედური გიმნასტიკა ვერ ეთვისებოდეს ყველა ერის ტემპერამენტს. ეროვნულ ტემპერამენტის ან კერძო გემოვნებისთვის შესაძლებელია აირჩეს იმ გვარი სპორტი და თამაშობანი, რომლებიც უფრო შესაფერისად მიგვაჩნია. რაც კი მუშაობის შეეხება, იგი უნდა დამყარებულ იყოს ანატომიის და ფიზიოლოგიის ღრმა შესწავლაზე, რომელნიც მთელ კაცობრიობისთვის ერთნაირია. შვედური გიმნასტიკა არის შესწორებული და მაშასადამე საერთაშორისო მეთოდი.

სპორტი და თამაშობა შვედებენ მუშაობითობის საუკეთესო დამატებას, რადგან ისინი ამოძრავებენ ადამიანის ყველა ფიზიკურ და ფსიქიურ ძალებს და ხელს უწყობენ ხასიათის განვითარებას. მორალურ სფეროში სპორტი ანვითარებს გამბედაობას, ენერგიას, ხასიათის სიმტკიცეს, სიმამაცეს, გულგრილობას, სოლიდარობას და დისციპლინას; ფიზიკურ თვალსაზრისით მოხერხებას, სიმარდეს, თვალის სისწრაფეს და სიმაგრეს.

სპორტიული თამაშობა შეფარდებული უნდა იყოს მოთამაშეთა ღონესთან, სხეულის განვითარებასთან და სქესთან. გადაჭარბება და უზომოდ შესრულებას მოსდევს დაქანცვა და ორგანიზმის დაზიანება, განსაკუთრებით გულის. წინასწარ მოუმზადებლათ სპორტს და ატლეტიურ თამაშს შეუძლიან სარგებლით მხოლოდ მაგარი აგებულების ახალგაზდები მიჰყვნენ, ქალებს სკოლების ახალგაზდობის უმრავლესობისთვის კი, მუშაითობა, საჭიროა რომ მათი სხეული მომზადდეს სხვა და სხვა სპორტულ თამაშის შესრულებისთვის ისე, რომ ორგანიზმს არა ევნოს რა. ჩამოვთვლით, შესაფერ ახსნა-განმარტებით სპორტებს, რომლების გავრცელება საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოში.

რბენა ანუ სირბილი ყველაზედ ბუნებრივი და ორგანიზმისთვის შესაფერი სპორტი არის. მას ძალიან მისდევდნენ ძველი ბერძნები. სირბილს ჰყოფენ სამ კატეგორიად: სისწრაფის სირბილი—100 მეტრი, ნახევარ-ძირითადი რბენა—დაახლოებით 8 კილომეტრი, და ძირითადი რბენა—უფრო დიდ მანძილზე (42 კილომეტრი მარათონის სირბილში). სისწრაფის სირბილი მოითხოვს დიდ ენერგიის დახარჯვას. ძირითად რბენას უნდა მოქნილი და გამძლე ორგანიზმი, საღი გული, განვითარებული გულის ფილტვი და მეთოდიური ვარჯიშობა. ხტომა სიმაღლეზედ, სიგრძეზედ და სიროთ. ამათ უნდა მისდიონ ერთგვარი ზომიერებით, განსაკუთრებით სიმაღლეზე ხტომას.

აღდგენილ იქმნა ზოგიერთი ძველი საბერძნეთის თამაშობა, მაგალითად გადასროლა სიმძიმის, დისკის და შუბისა. ეს კლასიკური თამაშობანი ძალიან მოხდენილნი არიან თუ მათ ასრულების დროს პოზიციის სისწორე შეინახება. ჩამოთვლილი ვარჯიშობანი უნდა სრულდებოდეს როგორც მარჯვენა ისე მარცხენა ხელითაც, რათა სხეული სიმეტრიულად განვითარდეს.

დავასახელებთ აგრეთვე ფუტ-ბოლს (foot ball), ლაუნ-ტენისს და გოლფს, ორ უკანასკნელი თამაში შესაძლოა ორთავე სქესისთვის ერთად.

ცურვა სასარგებლოა ყოველ მხრივ; იგი ავარჯიშებს სხეულის ყველა ნაწილებს, ამშვიდებს ნერვების სისტემას, აჩვევს ტანის სისუფთავეს და იმავე დროს საჭიროც არის.

[illegible] ძალიან კარგი სპორტია, რომელიც არწორებს სკოლაში შეთვისებულ ცუდ ჩვეულებას, როგორც მაგალითად მოხრილ ზურგს, ჩავარდნილ გულს და მხრების წინწაწევას.

ქართული ჭიდაობა. ვიტყვით ორიოდე სიტყვას ამ ჩვენ ეროვნულ სპორტზედ, რომელიც ეგრე ძალიან არის გავრცელებული ჩვენში. ბერძნულ-რომაულ (ფრანგულ) ჭიდაობისაგან ის განირჩევა მოხდენილობით და მოძრაობათა სისწრაფით. ანვითარებს სიმარდეს, ამტანობას და ხასიათის სიმტკიცეს, რადგანაც საჭიროა მოწინააღმდეგის ბუნებისყოფის ძლევა. ეს სპორტი ყოველ მხრივ ღირსია წაქეზების.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, სხვა ერების მიხედვით, სპეციალურ მისიის გაგზავნა შვეციაში, რომელიც იქ ადგილობრივ გაიცნობს რაციონალურ ფიზიკურ აღზრდის საკითხს და იქ შეძენილი ცოდნით დაბრუნებულნი, შესძლებენ ფიზიკურ აღზრდის ორგანიზაციას საქართველოში. ჩვენი სამშობლოს ინტერესები მოითხოვენ ზრუნვას ჩვენი ერის მომავალზე და მის ჯანსაღობაზე.

ა. მანსვეტაშვილი

## კორესპონდენცია

### წერილი გორიდან

**სახალხო მასწავლებელთა კრება**

ენკენისთვის უკანასკნელ დღეებში ქ. გორში შესდგა ჩვეულებრივი საზოგადო კრება გორის რაიონის სახალხო მასწავლებელთა კავშირის წევრებისა.

მასწავლებლებმა იმსჯელეს სკოლის და სწავლა-აღზრდის მოწესრიგებაზე და თავის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე; იყო სხვა საკითხებიც, მაგრამ მათ საზოგადო მნიშვნელობა არა ჰქონიათ.

კრებაზე კავშირის გამგეობის წინადადებით სწავლის დაწყება ღვინობისთვის პირველისთვის გადასწყდა, რასაც ყველა მასწავლებელმა დაუჭირა მხარი: გადასწყვიტეს ყველანი გაემგზავრნონ თავ-თავიანთ სოფლებისკენ, რომ დანიშნულ დღიდან შეუდგნენ თვის პირდაპირ დანიშნულების შესრულებას. თუმცა ამ საარაკო სიძვირის დროს ისინი მხოლოდ 21 თუმანს იღებენ თვეში, და ეს მცირე ჯამაგირი ჩვენი რესპუბლიკის ფინანსების მოუწესრიგებლობის გამო ხან ორი თვე, ხან სამი და ხან მეტ ხანსაც იგვიანებს ხოლმე.

გორის მაზრის სკოლების გამგე სცხოვრობს თბილისში და შეიძლება ითქვას, რომ სრულებით არ იცნობს თავის რაიონს; არ იცის კარგად სკოლების და მასწავლებლების მდგომარეობა. ის ათასში ერთხელ თუ გასცილდება თბილისს.

გორის მაზრის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობას, ვინ იცის რამდენჯერ მოუთხოვია გამგის გორში გადმოყვანა, რომ უკანასკნელი დაახლოვებოდა თავის სამოღვაწეო ასპარეზს და საქმეც ერთიორად კეთილად წინ წამართულიყო, მაგრამ ეს თხოვნა დღესაც რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" და გამგე კვლავ თბილისში სცხოვრობს.

მასწავლებელნი, ამ სიძვირეში და ჯამაგირის სიმცირეში, მიმოსვლის მოუწესრიგებლობაში, იძულებული არიან თბილისში იმგზავრონ, რაც საქმესაც აფერხებს და აზიანებს.

მგონი დრო არის, რომ ვისგანაც ჯერ არს ამ უკუღმართ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და არამც თუ მარტო გორის მაზრის, არამედ ყველა მაზრის სკოლების გამგენი გაგზავნონ მათ რაიონების ცენტრებში; ამას მოითხოვს თვით საქმის ინტერესი, ეს ერთი-ორად გააუმჯობესებდა სახალხო განათლების საქმეს.

საჭიროა აგრეთვე მთავრობამ ყველა სკოლებს დაუგზავნოს პროგრამები და სია იმ სახელმძღვანელოებისა, რომელნიც სამინისტროს მიერ მოწონებულნი არიან სახალხო სკოლაში სახმარებლად და იზრუნოს ჯამაგირის მომატებაზე და ვიდრე ეს მომხდარა ის 21 თუმანი თავის დროზედ უგზავნოს. თორემ ზეიძლება ის მოხდეს, რომ მასწავლებლები სულ გაჰქრნენ, ან ისეთები დარჩნენ, რომელნიც ხალხს სწავლას კი არ მისცემენ და შეაყვარებენ, არამედ მხოლოდ გულს აუცრუებენ. ზოგი მასწავლებელი, რომ არა ჰყოფნის ჯამაგირი და უნდა თავი გადირჩინოს სიმშილით სიკვდილისაგან, შედის მილიციაში, ზოგი ქალაქ ადგილას მოხელეობას რჩეობს, ზოგმა მეურნეობას და ზოგმაც ვაჭრობას მიჰყო ხელი.

რადგანაც სკოლების გამგე თბილისში სცხოვრობს და იქიდან თითქმის შეუძლებელია სკოლების მართვა-გამგეობა, რათა სახალხო სკოლაში არ გამეფდეს სრული ალრეულობა და ისიც შეძლების დაგვარად ალგვილ იქმნას, რაც იქ უწესობაა, გამგეობამ იკისრა ერთგვარი კონტროლი და თვალ-ყურის დევნება სკოლასა და მასწავლებლებზედ.

ბოლოს კრებამ გადასწყვიტა შეიძინოს რამდენიმე ბილეთი იმ ლატარიისა, რომელიც გამართულია ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოთ.

არ შემიძლიან მწუხარება არ გამოვსთქვა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მასწავლებელი გულ-გრილად ეკიდება კავშირის საქმეებს, მის არსებობას და საზოგადო კრებებს არ ესწრობა. ეს კავშირი და მისი საზოგადო კრებები, რომელსაც გამგეობა ყოველ თვეში ერთხელ რეგულიარად აწყობს ხოლმე ქ. გორში ერთად ერთი ადგილია, სადაც საშუალება ეძლევათ სახალხო მასწავლებლებს ერთმანეთის ნახვისა, გაცნობისა დ აზრების გაზიარებისა როგორც სკოლასა და სწავლაზე აგრეთვე სხვა საკითხებზედაც, რომელთაც რამე კავშირი აქვთ მასწავლებლის მოღვაწეობასთან სოფლად. ამიტომ ყოველი მასწავლებელი თავის თავს მოვალედ უნდა სთვლიდეს და აუცილებლად საზოგადო კრებაზედ დასწრებას.

სოსო.

## თეატრი და მუსიკა

**ქართულ მუსიკალურ საზოგადოება** მასწავლებლებად მოიწვია მ. ავალიანი, თავ. ხელ. ლ. ბენედიცკი, თავ. ხელ. რ. ხოსროევი, ჭიანურის საკლასოდ—თავ. ხელ. ა. ყარალაშვილი, თავ. ხელ. ფიშბერგი, თავ. ხელ. ფ. კაცი, მ. ბელსკი; ვიოლონჩელი—თავ. ხელ. ი. აბაშიძე, ნ. ბენედიცკი; გალობა (solo) სახელმწიფო თეატრის მსახიობი თ. პოლიაევი, რუს. ოპერის ქალი მსახიობი ო. შულგინისა.

**ქართული დასი.** სახელმწიფო თეატრში ქართულ წარმოდგენების გამართვისათვის შემდგარ კომისიაში ქართველ მსახიობთა კავშირმა რწმუნებულებად აირჩია: ვ. აბაშიძე, შ. დადიანი და ალ. იმედაშვილი.

**გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო** გაიმართება დღეს, საღამოს 8 საათზე, კონსერვატორიის დარბაზში. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: გალაქტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, სანდრო ყანჩელი, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, ალი არსენიშვილი, გიორგი [illegible], კოტე [illegible] კოტეტიშვილი, გრ. ცეცხლაძე, ლ. მაჭავარიანი და სხვ. ბილეთები დღეს იყიდება კონსერვატორიის დარბაზში.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.


# განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

**თბილისში მოვა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუადღ. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

# ქართულის კარგი მცოდნე

კისრულობს: მოხსენებათა, პროექტების, წერილების წესდებათა და სხვა ქაღალდების თარგმნას.

მიჰმართეთ „საქართველოს" რედაქციაში მდივანს, დილის, 9 საათიდან 3 საათამდე. საღამოობით წყნეთის ქუჩა № 30. (1—1022—1

# ვამზადებ ქართულ ენაზე ბავშვებს

1-ლ და მე-2-რე კლასისთვის, ჩემ შვილებთან ერთად. მოსწავლეთა რიცხვი შესდგება ორი ჯგუფისაგან. ჯგუფში მხოლოდ 5 ბავშვი იქნება მიღებული. ქართულ ენაში ჩამორჩენილ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. ახალი ენები მსურველთათვის განსაკუთრებულ ფასში.

მოსალაპარაკებლად 4—7 საათამდე. ნოვობებუთოვის ქუჩა 9. მეორე სართულში. ბინა № 4. ტელეფონი 10—02. (2—1791)

# ინტელიგენტ ქალთა წრე

**იღებს შესაკერავებს** როგორც საზეიმო, აგრეთვე საშინაო და საგარეო კაბებისას და „კოსტიუმებისა"-ს როგორც მოზრდილთათვის, აგრეთვე ბავშთათვის, ყოველგვარ მხატვრულ საქარგავ-საქსოვებს. „წრის" სკოლაში მოწაფეებთან მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან; მოწაფეების მიღება უკვე სწარმოებს (ღარიბები უფასოთ). აქვე მიიღება „მერეჯკები". სკოლა უფლებებით აღჭურვილია. ვერის დაღმართი, სახლი № 3, ბანა 9. შესავალი წიგნის მაღაზიის გვერდით. 10—5

### ექიმი
# ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად. თ.—1536—50

ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

**ქირ. და ქალთა სნეულებ. ს**

# საავადმყოფო

**სამშობიარო განყოფილებ**

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

# ალექსანდრე დავითის ძის ძეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

# სამკურნალო

**ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ა. მ. მჭედლიშვილის და დ. მ. ნაზარბეგიანცის**

საავადმყოფოში იარსებებს **კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

# გ. გ. მეგრაბიანცი

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსეფალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

### გაიხსნა
# თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
# ექიმი დონხიძისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფონი 5—97.

### ექიმი
# გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

### დოქტორი მედიცინისა
მისი [illegible]
# ალექსანდრიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.


სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.